# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 თებერვალი 2003 №16 (1787) | ფასი 50 თეთრი


# ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი?

## ყველაზე ძვირი ქართული ტრანსფერი თუ კიდევ ერთი ქართველი მოსკოვში?

ქუთაისის „ტორპედოს" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი მალხაზ ასათიანი დღეს, შესაძლოა, თბილისის დინამოელი გახდეს, ისიც შესაძლოა, დღეს ასათიანი მოსკოვის გზას დაადგეს და რუსეთის ჩემპიონ „ლოკომოტივს" იტალიურ, ანაც ამ კლუბის სარეზერვო გუნდს თურქულ შეკრებაზე გაჰყვეს.

სად გააგრძელებს კარიერას ასათიანი, თბილისში თუ მოსკოვში? ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ქუთაისელებს ეთქმით, ისე კი, ვინც მეტს გადაუხდის „ტორპედოს", მალხაზიც მას დარჩება.



ასათიანით თბილისელთა დაინტერესებაზე ლაპარაკი „დინამოში" ივო შუშაკის მისვლის მერე დაიწყო. ფაქტია, ხორვატმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ისურვა ქუთაისელის თავის გუნდში ხილვა და კლუბის თავკაცთაგან მისი „ტორპედოდან" გადაბირება ითხოვა. არც ისაა დამალული, რომ ასათიანსაც „დინამოსკენ" უწევს გული.

რუსთა ჩემპიონს კი ასათიანი მოსკოვში თანამეგობრობის თასის გათამაშებისას მოუვიდა თვალში და საქართველოს ჩემპიონს მის ტრანსფერზე ჩამოუგდო სიტყვა.

ახლა „ტორპედოსიც" ვიკითხოთ.

ქუთაისელებს მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელი ძვირად უღირთ და ასათიანის სანაცვლოდ თავიდან არც მეტი, არც ნაკლები, მილიონი დოლარი მოითხოვეს. ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ამდენის პატრონ-გადამხდელი, აბა, ვინ არის. ამ ბოლო დროს წელში გამართულ და ჯიბესქელ „დინამოსაც" კი ეძვირა მილიონი მწვანე. ჰოდა, შარშანს აქეთაა, გახურდა ვაჭრობა. გუშინ კი, ქართული საზომით ამ მართლაც გაწელილ და ხმაურიან ტრანსფერს თითქოს წერტილიც უნდა დასმოდა – არც ქუთაისური და არც თბილისური კლუბების ხელმძღვანელებს არ დაუმალავთ, რომ ასათიანის „ტორპედოდან" „დინამოში" გადასვლაზე, ფაქტობრივად, მოილაპარაკეს, ოღონდ ერთი კი დაამატეს, უმნიშვნელო დეტალებიღაა შესათანხმებელიო.

აქვე შევნიშნოთ, რომ ასათიანს დღეს მოსკოვშიც ელიან და მის რუსთა მთავარქალაქში უპრობლემოდ ჩასვლაზე „ლოკომოტივის" თავკაცობამ უკვე იზრუნა – კლუბის პრეზიდენტმა ფილატოვმა თბილისში რუსეთის საელჩოს ასათიანზე ვიზის დაუბრკოლებლად გაცემა სთხოვა.

რა გამოდის? თუ „ტორპედო" და „დინამო" დეტალებზე შეთანხმდნენ, უარი რუსებს და ასათიანი „დინამოს", თუ არა და, უარი „დინამოს" და ასათიანი „ლოკომოტივს" – ისე კი, ეჭვი გვღრღნის, ეს უმნიშვნელო დეტალები საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

# დინამო ჯვარქვეშ

## შუშაკი გუნდს წმინდა მთასთან დახვდა

## ესეც ლაგარტო, ტო

**დინამო**

**კვიპროსიდან** დაბრუნებული თბილისის „დინამო" შაბათს სტამბოლის გავლით მეორე მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრა, ამჯერად 20 დღით ბოსნიურ მეჩგორიეში.

მწვრთნელ ივო შუშაკს, რომელიც გუნდს ბოსნიაში დახვდა, ირაკლი ებანოიძის გარდა ყველა იმ ფეხბურთელმა ჩააკითხა, რომლებიც კვიპროსზე ემზადებოდნენ.

მეჩგორიე, სადაც „დინამოა" დაბინავებული, ხორვატი კათოლიკე ქრისტიანებითაა დასახლებული. მთაზე, რომელიც დინამოელთა ბაზას დაჰყურებს, მწყემსებს თურმე ღვთისმშობელი გამოეცხადა. მას შემდეგ მთის წვერზე დიდი ჯვარი აღუმართავთ, რამდენიმე ეკლესია აუშენებიათ და იქაურობა წმინდა ადგილად შეურაცხავთ. მეჩგორიეს ზამთარ-ზაფხულ არ აკლია ტურისტები, სასტუმროები თუ პანსიონები იქ მრავლადაა. „დინამოს" მეზობლად ცხოვრობენ ზაგრების „დინამო", რომელსაც შუშაკის მეგობარი, ცნობილი სპეციალისტი მიროსლავ ბლაჟევიჩი წვრთნის და ასევე ხორვატული „ოსიეკი". სხვათა შორის, საწვრთნელი ბაზის მთავარ მოედანზე ჩვენი „დინამო" ვარჯიშობს, გვერდით, სათადარიგოზე კი ზაგრებისა. ბლაჟევიჩიც ქართველებს და თავის ყოფილ თანაშემწე შუშაკს ხშირად სტუმრობს.

„დინამოს" პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, მეჩგორიეში წვრთნისა და დასვენების ჩინებული პირობებია, გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობს, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა.

„დინამო" დღეს ძირითადი შემადგენლობით შუშაკის ყოფილ გუნდს, სლოვენიურ „მარიბორს" გაეჯიბრება, ხვალ სათადარიგოებით მეჩგორიედან ოცი კილომეტრით მოშორებით „შიროკი ბრიაგს" ეთამაშება, 7 თებერვალს კი ხორვატული მეორე ლიგის „მეტალკა ოსიეკს". დინამოელები დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირშიც მიიღებენ მონაწილეობას, 8 თებერვალს მათი მეტოქე ასევე ხორვატული „ციბალია" იქნება, რომელიც ქვეყნის უმაღლეს ლიგაში ამჟამად მეოთხე ადგილზეა. ამ წყვილში გამარჯვებული ტურნირის ფინალში „შიროკი ბრიაგსა" და ზაგრების „დინამოს" შორის მოგებულს შეხვდება. მესამე ადგილისთვის დამარცხებული დამარცხებულთან ითამაშებს.

მეჩგორიეს ტურნირის შემდეგ დინამოელები ხორვატიაში გადაინაცვლებენ და ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას იქ დაასრულებენ.

**ტორპედო**

ანთალიაში საწვრთნელ შეკრებაზე წასასვლელად ემზადება ალექსანდრ შტელინის სამწყსო. ქუთაისელები თურქეთს ხვალ მიაშურებენ და იქ 20 თებერვლამდე დაჰყოფენ. „ტორპედო" ანთალიიდან 60 კილომეტრის დაშორებით დაბა ბელეკში დაიდებს ბინას. ორი უკრაინელი ლეგიონერის მოძლოდინე რიონისპირელები შეკრებაზე ექვსი ფეხბურთელის გარეშე წავლენ — გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძე, მოგეხსენებათ, იქაურ „ქოჯაელისპორს" შეუერთდნენ, დღედღეზე გადაწყდება სომხურ „პიუნიკში" ვახტანგ აკოფიანის ტრანსფერიც, დავით ჭელიშვილი და ზაზა ზირაქიშვილი ტრავმირებულნი არიან, მალხაზ ასათიანის „ტორპედოში" დარჩენა-არდარჩენა კი ამ დღეებში გაირკვევა.

*უმაღლესლიგელთა უმეტესობა საშუასეზონო სამზადისშია. აბა, რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ჯიბესავსე პატრონიანებმა შეკრებისთვის უცხოეთს მიაშურეს, უსახსრონი კი შინაურ პირობებს დასჯერდნენ. გუნდები შეძლებისდაგვარად არც საკონტროლო მატჩებს იკლებენ. ქვემოთ იმათ სამზადისზე მოგახსენებთ, რომლებთანაც გუშინ შეხმიანება მოვახერხეთ*

ახალწვეულთაგან „ტორპედოს" მაისურას ხობის „კოლხეთიდან" გადაბირებული გეგია და ყოფილი თბილისის დინამოელი კოკა მიკუჩაძე მოირგებენ. ისინი გუნდს შეკრებაზეც გაჰყვებიან და სავარაუდოდ, საგაზაფხულო ეტაპზეც დაეხმარებიან.

გამორიცხული არაა, ალექსანდრ შტელინმა ანთალიაში რამდენიმე უცხოელიც გასინჯოს და თუ მოიწონებს, დაიტოვოს კიდეც.

გუშინ ქუთაისელები მეზობელ წყალტუბოელებს გაეჯიბრნენ და მიკუჩაძის და გეგიას წყვილი გოლებით 4:0 დაამარცხეს.

**კოლხეთი**



სოსო ფილია

ფოთის „კოლხეთმა" საგაზაფხულოდ მზადება თითქოს რიგიანად დაიწყო. სოსო ფილიამ გუნდი ნაახალწლევს შეკრიბა. მწვრთნელი ცალკე შეგირდებს აცლიდა სიქას, ცალკე კიდევ გაძლიერებაზე ზრუნავდა და სასურველი ფეხბურთელების გადაბირებით იყო დაკავებული.

ფილიამ კლუბის ხელმძღვანელთა კაბინეტებიდანაც სასიხარულო ამბები გამოიტანა, გარჯა თქვენი, ფული ჩვენიო — დასტური მისცეს მწვრთნელს.

„კოლხეთის" თავკაცმა უცხოური შეკრებაც დაგეგმა. ფოთელები ორი კვირით ნაცნობ ბულგარულ ნესებრს უნდა სწვეოდნენ. მაგრამ ბოლოწამს შეკრება ჩაიშალა და დარჩა გუნდი ოდენ ფოთური ჰავისა და ყუათიანი კვების ამარა.

მერე მოულოდნელად ფეხბურთელები სამდღიან შვებულებაში დაითხოვეს, სოსო ფილიაც გაუჩინარდა, დაგეგმილი საკონტროლო მატჩი „ბათუმთან" გადაიდო და „კოლხეთში" გაურკვევლობამ დაისადგურა.

თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, მაშინ „კოლხეთის" უთავკაცოდ დარჩენაც უნდა დავიჯეროთ. ამბობენ, სოსო ფილიას ყელში ამოუვიდა ხელმძღვანელთა ცარიელი დაპირებები და გუნდი მიატოვაო. გუშინ მწვრთნელის მოხელთება ვერ მოხერხდა, კლუბმაც კომენტარი იუარა, მაგრამ დღეს-ხვალ სიმართლე მაინც გამომჟღავნდება.

**მეტალურგი**

საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს გაჭირვებას თავდახსნილი ზესტაფონის „მეტალურგი". ერთი კვირაა, იმერლები ფიზიკურად ემზადებიან, ბურთთან ვარჯიშს კი ხვალიდან დაიწყებენ.

მთავარ მწვრთნელ ზაურ ჩუბინიძის განკარგულებაში სადღეისოდ მხოლოდ თვრამეტი ფეხბურთელია, ბევრი ახალგაზრდაც ცდილობს, მას თავი მოაწონოს. ამასობაში, გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაუბრუნდა ბოლნისის „სიონიდან" — გენადი კაციაშვილის დარად, „მეტალურგს" მეორე ეტაპზე ზვიად კრავეიშვილიც შეეშველება.

ჯერაც მოუგვარებელია მეკარე ავთანდილ ლაბაძის საკითხი. იგი ახლა ფოთის „კოლხეთში" ვარჯიშობს, თუმცა, ზესტაფონელთა თქმით, ის გუნდიდან გათავისუფლებული არაა და ასე იოლად ვერც შეელევიან.

**ვიტ ჯორჯია**

ვეტერინართა 31-კაციანი დელეგაცია ანთალიიდან 60 კილომეტრის დაშორებით დაბა ბელეკში დაბინავდა. ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „მარმარ ბელიზში" ჯანი კარნევალის გუნდს წვრთნისა და დასვენებისთვის ყველა პირობა აქვს.

იტალიელს ფეხბურთელები ჯანზე ჰყავს, შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და სადღეისოდ კიევის „არსენალთან" გასაჯიბრებლად ემზადება.

„ვიტ ჯორჯია" თურქეთში სულ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. კიეველების შემდეგ ვიტელები 8 და 12 თებერვალს ჯერჯერობით უცნობ მეტოქეებთან მოსინჯავენ ძალებს და 15 თებერვალს თბილისში დაბრუნდებიან.

**ბათუმი**

ხვალ დილით ასლან ბალაძის გუნდი ბულგარული ტრიავნისკენ გაემგზავრება. მწვრთნელმა კი გუშინ იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა გვამცნო, ვისაც საგაზაფხულოდ „ბათუმის" მაისურას მოარგებს.

*მეკარეები: ქვარხია, ბალაძე;*

*მცველები: მახარაძე, გუშარაშვილი, ჩიჩუა, გურეშიძე, ცინარიძე, დუმბაძე, იალამიდი, გალოგრე;*

*ნახევარმცველები: დარჩიძე, კობიძე, რომანაძე, ი. შენგელია, სეფერთელაძე, ცანავა, ნემსაძე;*

*თავდამსხმელები: მოდებაძე, ფირცხალაიშვილი, ბეჟანიძე, ფურცხვანიძე;*

22-კაციან განაცხადში მოულოდნელი იყო ზესტაფონელი დავით გურეშიძის გამოჩენა, მაგრამ, ბალაძის თქმით, ეს საქმე გადაწყვეტილია და გურეშიძეც ტრიავნულ შეკრებაზე მიჰყვება „ბათუმს".

ჯერაც გაურკვეველია ბესიკ თედორაძის საკითხი: ბათუმელები მის დასაკუთრებას ლამობენ, მაგრამ ნახევარმცველი კონტრაქტით თბილისურ „ვიტ ჯორჯიას" ეკუთვნის და ორ კლუბს შორის მოლაპარაკებები არ დასრულებულა.

„ბათუმი" იჯარის წესით მოთამაშეთა აყვანაზე უარს აცხადებს — ჩვენ სერიოზული სამომავლო გეგმები გვაქვს, ახალგაზრდული გუნდის შექმნა გვწადია, ამიტომ სამი თვით ფეხბურთელის გადაბირება და მერე გაშვება ხელს არ გვაძლევსო — განაცხადა ბალაძემ.

სწორედ ამ მიზეზით ვერ მოხერხდა თავდამსხმელ მიხეილ ცქიფურიშვილთან შეთანხმება, თედორაძის მსგავსად, ცქიფურიშვილიც ვიტჯორჯიელია და, ეტყობა, ბალაძე ვიტელებთან ვერ მორიგდა.

ჯერჯერობით ვერც ზურაბ არჩვაძის „ბათუმში" დაბრუნება მოხერხდა. ზურაბს უცხოეთში, კერძოდ, თურქულ კლუბში მოწყობისა ეიმედება და „ბათუმს" რამდენიმე დღეს სთხოვს, რათა თავისი ბედი საბოლოოდ გადაწყვიტოს. „ბათუმს" კი მოსაცდელად არ სცალია. ტრიავნაში ბალაძის გუნდი ორ კვირას ივარჯიშებს, პირველ საკონტროლო თამაშს კი 8 თებერვალს გამართავს.

**დილა**

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი გორში ვარჯიშობს. ქართლელებს ერთი შეკრება ამასწინანდელმა ენერგოკრიზისმა ჩაუშალა. დღეს კლუბის დირექტორატის წევრები შეიკრიბებიან, გადასაბირებელი ფეხბურთელების ნუსხას კიდევ ერთხელ თვალს გადაავლებენ, „დილას" გაძლიერებას ეცდებიან, თუ არადა, ლიგაში დასარჩენად გასაჩალებელი „ომის" გადატანა ისევ ძველ გვარდიას მოუწევს, რომელთაც ხაჩიძე კვირის ბოლოსთვის შეკრებაზე გადაიყვანს.

**სიონი**

დიდი რეორგანიზაციის შემდეგ თემურ მახარაძეს შარშანდელი შემადგენლობიდან ნახევარი გუნდიღა შერჩა. ბოლნისელები სადღეისოდ თბილისში ვარჯიშობენ და სასურველი მოთამაშეების გადაბირებას ლამობენ.



ბორის გონჩაროვი

კლუბის თავკაცებმა ორი ფეხბურთელისგან დასტური უკვე მიიღეს. გაზაფხულიდან „სიონისთვის" გაირჯებიან ფორვარდები — ჰამლეტ წივწივაძე და კვიპროსმოვლილი ყოფილი კოლხი ბორის გონჩაროვი.

„სიონი" შეკრებას 13 თებერვლიდან დედაქალაქში დაიწყებს და თბილისს თებერვლის ბოლომდე შემორჩება.

**ლოკომოტივი**

ლუის ცაკარიასის „ლოკომოტივი" ანთალიაში სპარინგ-მატჩების კოლექციას აგროვებს. გასულ პარასკევს რკინიგზელებმა პერმის „ამკარი" დაიფრინეს და 3:0 მოიგეს. უქმეებზე მახაჩყალის „ანჟისთან" სოსელიას და ბურნაძის გოლებით იმარჯვეს, ხოლო გუშინ სულაც ორი მატჩი ითამაშეს.

პერუელმა თავისი მეორე შემადგენლობა რევაზ ძოძუაშვილის უქართველებო „ალანიას" გააჯიბრა და 1:3 დამარცხდა. რკინიგზელთაგან გოლი სოსელიამ მიითვალა.

ცოტა ხანში ცაკარიასის ძირითადი გუნდი ხარკოვის „მეტალისტის" პირისპირ იდგა. „ლოკომოტივმა" უკრაინულ გუნდთან 1:0 წააგო.

ხარკოველებთან ცაკარიასმა 12 ფეხბურთელი გამოსცადა: *ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, რ. ონიანი, ბურნაძე, ჭიჭველიშვილი, კვარაცხელია, გალიარდო, სირაძე, კაიდარაშვილი (ნანა 46).*

რკინიგზელთა პერუელ თავკაცს გუშინდელი მარცხი დიდად არ უნაღვლია, მთავარია, ბიჭები თამაშის ხარისხს აუმჯობესებენო. მწვრთნელს განსაკუთრებით განელი ნანა მოსწონს, ბულგარელი ზდრავკოვის კი ნაკლებად ეიმედება. ალბათ, ცაკარიასი მას შეელევა კიდეც, მით უფრო, რომ გუშინ პორტუგალიელი ფორვარდი მარკო ლაგარტოც მის განკარგულებაში გამოცხადდა, რომელსაც თავის დროზე „მარიტიმუს" ღირსება დაუცავს.

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XIX ტური

ტრირი 2:1 მაინცი

**იტალია**

სერია B. XXI ტური

სიენა 1:0 ტრიესტინა

**პორტუგალია**

I ლიგა. XX ტური

ბენფიკა 1:1 მორეირენსე

გიმარაეში 1:0 სეტუბალი

რეკლამა

სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;

Fax: 94 33 80



# ოსებს აშვეთია მუქთა ეგონათ

## ძოძუაშვილმა კარი ხმელიძეს არ ანდო

**ანთალიაში** საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" ფიფასგან სანქცია ელის. 2001 წელს გადაბირებულ რუმინელ თავდამსხმელ ალექსანდრუს სანაცვლოდ თანხის გადაუხდელობის გამო ოსები დღეს იმკიან შედეგს. „სპარტაკ-ალანიასთვის" ცუდი უფრო ის არის, რომ რუმინელმა ფეხბურთელმა მაშინ თავი ვერაფრით გამოიჩინა და კლუბმაც მალე დაითხოვა.

ამ გაუგებრობაში ქართველი მიხეილ აშვეთიაც „გაეჩხირა". უფრო სწორად, ფიფას სანქციები ჩვენებურთან ჯერ არაფერ შუაშია, მაგრამ შესაძლოა, აშვეთიამ „სპარტაკ-ალანია" დატოვოს. მიზეზი კი ოსური კლუბის ხელმძღვანელთა დაუდევრობაა. დანიური „კოპენჰაგენისა" და ვლადიკავკაზელების მოლაპარაკებას თურმე დღემდე არ მოჰყოლია შეთანხმება. არადა, გასული სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთელიც და კლუბით ერთხმად აცხადებდნენ, ყველაფერი გადაწყვეტილიაო. ახლა გაირკვა, რომ მიხეილ აშვეთიას გადაბირებას ჯერაც ცდილობს რამდენიმე რუსული კლუბი. ყველაზე მეტად კი ალექსანდრე რეხვიაშვილის „ტორპედო-მეტალურგი" აქტიურობს. მართალია, ოსებს ჩვენებური არ ეთმობათ, მაგრამ არც ის გაგიკვირდეთ, რომ აშვეთია ჩემპიონატს ზუსტად „ტორპედო-მეტალურგის" მაისურით შეხვდეს.

ამასობაში რევაზ ძოძუაშვილის სამწყსო ერთმა ქართველმა უკვე დატოვა. როსტოვის „როსტსელმაშისგან" მიწვეული მეკარე დავით ხმელიძე სხვა გუნდის ძიებაშია.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვლადიკავკაზელებს არც კიევის „ობოლონისგან" შარშან ნაყიდი მცველის, ვიაჩესლავ სვიდერსკის სატრანსფერო თანხა დაუფარავთ.

ფიფა კი იმუქრება — თუ ოსები ვალებს არ გადაიხდიან, კლუბი უცხოელი ფეხბურთელის შეძენის უფლებას დაკარგავსო.

**კახა შალამბერიძე**

# ZAZA ჯანაშიასგან სახელი დარჩა



**მომავალ უქმეებზე** „ქოჯაელისფორს" „ბეშიქთაშთან" მატჩი ელის. მანამდე გუნდი ამხანაგურად ანკარის „გენჩლერბირლიგს" გაეჯიბრა და 2:1 მოუგო.

„იზმეთფაშას" სტადიონზე ბლომად მაყურებელმა მოიყარა თავი. გიუვენჩ ქურთარმა ძირითად შემადგენლობაში ორი ქართველი, გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძე ათამაშა. მათ მოედანზე 90 წუთი დაჰყვეს და ორივემ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პირველ ტაიმში „გენჩლერბირლიგმა" იძალა, უფრო გამართულად თამაშობდა. ანკარელებმა მასპინძელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს და მალე იხეირეს კიდეც.

შესვენების შემდეგ მწვრთნელმა მოედანზე გია იმედაძე შეუშვა. იმედაძემ ბულგარელ გეორგიევს კარგად გაუგო და მათი კომბინაციების შედეგად „გენჩლერბირლიგის" მეკარეს ორი ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა — ორჯერვე იმედაძემ დაარტყა, რასაც მაყურებელთა ტაშიც მოჰყვა. საბოლოოდ „ქოჯაელისფორმა" ორი საპასუხო გოლის გატანა მოახერხა და გუნება გამოიკეთა.

ამჟამად გუნდი ჯერაც დაუმარცხებელ „ბეშიქთაშთან" საბრძოლველად ემზადება. ზაზა ჯანაშიას რამდენიმე კილო უკვე დაუკლია და ქურთარს მისი დიდად აიმედება, თუმც ჯერ არ გადაუწყვეტია, ათამაშებს თუ არა მას „ბეშიქთაშის" წინააღმდეგ.

როგორც წესი, თურქეთში ფეხბურთელებს მაისურებზე სახელები აწერიათ. ამის გამო ჯანაშიას უთქვამს, მე ყველა ჯანაშიად მიცნობს და მსურს, გვარი ეწეროსო, მაგრამ თუ თქვენთან სხვა წესია, ზაზა დააწერეთ, რაც აქ ჩამოვედი, ყველა მაინც სახელით მომმართავს და მივეჩვიეო.

დანარჩენი სამი ქართველის მაისურების ამბავი ჯერ გაურკვეველია. რევაზ ქემოკლიძეს სურს, მის მაისურას „ქემო" ამშვენებდეს და გულშემატკივრებისთვისაც უთხოვია, „ქემო" დამიძახეთო.

მომავალი შაბათისთვის, ალბათ, გვარ-სახელების ამბავს უპრობლემოდ გაარკვევენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შეკრება ბანკში

## დემეტრაძე სან სებასტიანში ანგარიშს ასწორებს

**ამასწინათაც** გაუწყეთ, რომ ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე მალე დონეცკის „მეტალურგს" შეუერთდებაო. ამ ამბავს თითქოს აქამდეც უნდა დასმოდა წერტილი, თუმც დემეტრაძე ჯერაც არ შეამხანაგებია ბარსელონას მახლობლად, დაბა ჟირონაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ უკრაინელებს:

— გიორგის დღემდე ველით. რატომღაც ის ჯერ არ გამოჩენილა. „სოსიედადთან" შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ და თქვენებურიც სეზონის ბოლომდე „მეტალურგში" ითამაშებს. მეტს ვერაფერს გეტყვით — გვითხრა გუშინ დონეცკის „მეტალურგის" გენერალურმა დირექტორმა იური გრიადამმა.

ამის შემდეგ, ცხადია, თავად *გიორგი დემეტრაძესაც* დავუკავშირდით სან სებასტიანში, რომელმაც გვითხრა:

— საბანკო პრობლემებს როგორც კი მოვაგვარებ, მაშინვე „მეტალურგს" შევუერთდები. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია. ვიცი, რომ დონეცკელები მელოდებიან.

**— ესე იგი, „სოსიედადში" შენი დარჩენა, საბოლოოდ გამოირიცხა?**

— კლუბში ევროკავშირელი ფეხბურთელების ლიმიტი ამოწურულია, ამიტომაც სეზონის ბოლომდე უკრაინაში ვითამაშებ.

**— დაახლოებით როდის შეუერთდები ახალ თანაგუნდელებს.**

— 8 თებერვლამდე ალბათ, ყველაფერს მოვაგვარებ და „მეტალურგს" შეკრებაზევე ვეწვევი. სეზონის ბოლომდე დონეცკურ კლუბში ვითამაშებ. მერე კი ვნახოთ, სან სებასტიანში დავბრუნდები... ბასკებთან კონტრაქტი გაისად ზაფხულში მიმთავრდება.

**კობა ინასარიძე**



# უეფამ საქართველო გაამწვანა

## ვალერი ჩოლარიამ ხუთ დღეში 250 ათასი იშოვა

*გერმანია-შვეიცარიაში ხუთდღიანი ვიზიტის შემდეგ სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია კვირას თბილისში დაბრუნდა. იგი 27 მარტს რომში გასამართი უეფას გენერალური ასამბლეის მოსამზადებელ სხდომაზე იყო მიწვეული ნიონში. კრებას, რომელსაც უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი უძღვებოდა, ევროპის 52 ქვეყნის საფეხბურთო ჩინოსანი დაესწრო.*

*31 იანვარს ჩოლარია ფრანკფურტში ჩაფრინდა და „აინტრახტი" — „ფრაიბურგის" მატჩს დაესწრო.*

*გუშინდელი შეხვედრისას სფფ-ის გენერალურმა მდივანმა ნიონიდან ჩამოტანილი ფერად-ფერადი საფეხბურთო რუკები გვაჩვენა — აქ უეფაში შემავალი ფედერაციების სამეურნეო, ადმინისტრაციული და ფინანსური მაჩვენებლებია წარმოდგენილი. მწვანე ფერი ძალიან კარგს აღნიშნავს, ხომ ხედავთ, საქართველო სულ მწვანეშია ჩასმული, ეს იმას ნიშნავს, რომ სფფ-ს ყველაფერი წესრიგში აქვს და უეფაც კმაყოფილია ჩვენი მუშაობითო — გვითხრა ჩოლარიამ.*

*აფერუმ, ჩვენი კარგის დამნახავ უეფას, მაგრამ იმასაც ვერ დავივიწყებთ, რომ ვალერი ჩოლარია ლამის ყოველ კვარტალში ყადაღადადებული ფედერაციის გენერალური მდივანიცაა და ბევრი ისეთი პრობლემაც აქვს გადასაწყვეტ-მოსაგვარებელი, უეფას ჩინოსნებს არც კი დაესიზმრებათ*



— ნიონში კლუბების ლიცენზირებაზეც ვისაუბრეთ. 2004 წლიდან ლიცენზიის გარეშე ვერც ერთი კლუბი ვერ მიიღებს მონაწილეობას უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებში. ამჟამად სასურველი აუდიტორიული ფირმის ძიებაში ვართ, ერთ-ერთთან კონტრაქტს გავაფორმებთ, მერე კი უეფას ლიცენზირების ჩვენეულ პროექტს წარვუდგენთ, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, დაგვიმტკიცებენ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავად იქნება ქვეყანაში ლიცენზირების პროცესების კურატორი.

**— დიღომში მშენებარე ბაზის მოსაწყობად უეფას დამატებით კრედიტს სთხოვდით, რა თანხაზე იყო საუბარი და როგორ დასრულდა ეს მოლაპარაკება?**

— ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ მოგვარდა. უეფამ ჩვენი პროექტი მოიწონა და ბაზის სათანადო ინვენტარით აღჭურვისთვის 250 ათას შვეიცარიულ ფრანკს გამოგვიყოფს. ავეჯს თურქული ფირმა „ტოპე მობილიდან" გამოვიწერთ, სამზარეულო იტალიიდან ჩამოგვივა, ტელევიზორებს, ვიდეოტექნიკას, მტვერსასრუტებს იაპონიიდან შევიძენთ — უპირატესობა JVC-ის ფირმას მივანიჭეთ. სტანდარტულ სათამაშო კარს გერმანული ფირმა „ერხატი" დაგვიმზადებს.

**— მოლდოვასთან მატჩამდე რამდენიმე დღე დარჩა, ყველაფერი მოგვარებულია მეტოქის სამასპინძლოდ?**

— თითქმის. სტუმრები „ვერე პალასში" დაბინავდებიან. ჩვენების შეკრება ბაზაზე გვსურდა, მაგრამ იქ რემონტია, ალბათ სასტუმრო „მონოპოლს" ავირჩევთ. თამაში „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდება. ბილეთების დაბეჭდვა-გაყიდვის ორგანიზაციას სტადიონის დირექცია იღებს საკუთარ თავზე.

**— რა ეღირება ბილეთი?**

— არ ვიცი. ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად რკინიგზელებს დარჩებათ, ჩვენ მათ მივეცით ეს უფლება, ამიტომ ბილეთის ფასის განსაზღვრა მათი პრეროგატივაა.

**— ახალგაზრდული ნაკრებები სად ითამაშებენ?**

— ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი. „ეროვნულზე" თამაში გამორიცხულია. იქ საკულტივაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ამიტომ განვიხილავთ სათადარიგო ვარიანტებს — ბოლნისი, რუსთავი, გორი. რევაზ არველაძესთან შეთანხმებით, ერთ-ერთ სტადიონს ავირჩევთ. ფედერაცია პერიფერიაში თამაშის წინააღმდეგი არ არის, უფრო დიდი ინტერესი იქნება.

**— ევროშესარჩევის უახლოესი მატჩების სამასპინძლოდ უეფას „ლოკომოტივის" სტადიონი წარუდგინეთ. რკინიგზელებთან საბოლოოდ გაარკვიეთ ურთიერთობები?**

— უეფაში განვაცხადე, რომ ამ პრობლემის მოგვარება სამთავრობო დონეზე ხდება და სტადიონი სათანადო კომისიის დასტურის შემდეგ დამტკიცდება. ჩემი მოხსენების საფუძველზე უეფამ 28 თებერვლამდე დაგვითქვა საბოლოო პასუხის ვადა. ქალაქი არ შეიცვლება — მატჩი თბილისში ჩატარდება, მაგრამ შესაძლოა, სტადიონი შეიცვალოს. ჩვენ გვაქვს დრო მოსაფიქრებლად, ბევრი რამ დღევანდელ სამთავრობო კომისიის სხდომაზეც გადაწყდება.

**— ესე იგი, რკინიგზელებთან ჯერაც არაფერი გაგირკვევიათ.**

— შვეიცარიაში წასვლამდე აკაკი ჩხაიძეს ოფიციალური წერილი გავუგზავნეთ. ჩვენ რკინიგზელებს მომავალი ურთიერთობის ორი ვარიანტი შევთავაზეთ. დაათანხმდნენ ერთ-ერთზე და ყველაფერი მოგვარდება.

**— რა ვარიანტები შესთავაზეთ ჩხაიძეს?**

— არ მსურს დეტალებზე საუბარი.

**— თუ შეთავაზება ოფიციალურ დონეზე მოხდა, დასამალი რა გაქვთ?**

— ჯერ დაგვთანხმდნენ რკინიგზელები და მერე ვისაუბროთ ამაზე.

**— ვთქვათ და არ მოიწონეს ლოკომოტიველებმა თქვენი ორი ვარიანტი...**

— მაშინ ძველებურ შეთანხმებაზე დაყაბულება მოუწევთ.

**— ძველი შეთანხმება როგორი იყო.**

— ასპროცენტიანი დასწრებისას „ლოკომოტივს" 50 ათასი ლარი რჩებოდა, 75 პროცენტიანი და 50 პროცენტიანი დასწრებისას კი, შესაბამისად, 30 და 20 ათასი ლარი.

**— ვთქვათ და ამაზეც ვერ შეთანხმდით...**

— ხომ გითხარით, გვაქვს დრო 28 თებერვლამდე და გვაქვს ეროვნული სტადიონიც.

**— ესე იგი, ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, რომ შვეიცარიას, ირლანდიას და რუსეთს „ლოკომოტივზე" ვუმასპინძლებთ.**

— ჩვენ ცდას არ ვაკლებთ, რომ რკინიგზელებთან შევთანხმდეთ, მათაც უნდა მოინდომონ. ფედერაციამ გამოიჩინა კეთილი ნება და მოლდოვასთან თამაშზე ბილეთების გაყიდვის შემოსავალი რკინიგზელებს გადაულოცა და ეს მაშინ, როცა მარტო გამოძახებულ ლეგიონერთა სამგზავრო ხარჯები 20 ათას დოლარამდე გვიჯდება.

**— ფედერაციის ამგვარ ნაბიჯში დიპლომატიასთან ერთად ფინანსური მოტივიცაა. მოლდოველთა სამასპინძლოდ „ლოკომოტივის" დაქირავება მოგიწევდათ, შესაძლო იყო ეს თანხა, ბილეთების გაყიდვით მოტანილ შემოსავალს ვერც დაეფარა.**

— რაც უნდა თქვათ, ჩვენზე ვერავინ იტყვის, რომ რკინიგზელებთან მოლაპარაკებებს ჩიხში ვაქცევთ. გიმეორებთ, ჩვენს ინტერესშია, რომ საგაზაფხულო მატჩები „ლოკომოტივზე" ჩატარდეს. ჩვენის მხრივ, რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებთ. მოლდოვის, შვეიცარიისა და ირლანდიის სტუმრობის ხარჯებს სფფ გაიღებს?

**— რუსეთზე არაფერი გითქვამთ...**

— ამ შემთხვევაში ხარჯები „ლოკომოტივზე" მომხდარ ავარიაზე პასუხისმგებელს დაეკისრება.

**— რკინიგზამ და თელასმა უკვე განაცხადეს თანხმობა ზარალის ანაზღაურებაზე.**

— მე არ მაქვს ასეთი ინფორმაცია, მაგრამ მაქვს გამოძიების დასკვნა, რომელიც უნდა აღსრულდეს.

**— შეგიძლიათ, გვაჩვენოთ ეს დასკვნა?**

— არა. ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია, თუ რამ გაინტერესებთ, იუსტიციის სამინისტროს მიმართეთ.

**— რამდენადაც ვიცი, გამოძიება არ დასრულებულა. იგი 15 თებერვლამდე გაგრძელდება.**

— გამოძიება იმიტომ გრძელდება, რომ გაირკვეს, უნდა აღიძრას მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე, თუ არა. ამდენად ძიების ეს ნაწილი ფედერაციას აღარ აინტერესებს.

**— ჩვენთან შეხვედრამდე 45-წუთიანი საუბარი გქონდათ ალექსანდრე ჩივაძესთან...**

— ჩივაძემ თავისი გადაწყვეტილების შესახებ მაცნობა. მან ექსპერიმენტული გუნდით ისურვა თამაში და სწორი ნაბიჯიცაა — რეზერვი გამოსაცდელია. საშამ ისიც მითხრა, რომ ნაკრების წამყვან ლეგიონერებთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა და გამოუძახებლობის მიზეზი ყველას აუხსნა. გარდა ამისა, ნაკრების მწვრთნელთან უეფას წინადადებაც შევათანხმე. შვეიცარიასთან მატჩმა ნახევარი საათით გადაიწია — დაგეგმილი ცხრის ნახევრის ნაცვლად 9 საათზე დაიწყება. ჩივაძეს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ირლანდიას 29 მარტს 7 საათზე ვუმასპინძლებთ. შაბათია და მატჩის დაწყების ეს დრო ჩვენი პარტნიორი ტელეკომპანიისთვისაც მოსახერხებელია. რუსეთთან კი არანაირ კომპრომისზე არ წავალთ. მატჩი უთუოდ 30 აპრილს გაიმართება. თამაში შვიდ ან რვა საათზე დაიწყება.

**პაატა ძმანტალიანი**



REUTERS

ბილბაო — სოსიედადი. დარკო კოვაჩევიჩი აიტორ ოსიოს საგოლედ ვერ დაუსხლტა

# გვიანი მშობიარობა

## სოსიედადმა მარცხი ბილბაოში გააგორა

### ესპანეთი

#### პრიმერადივიზიონი XX ტური

**ბილბაო 3:0 სოსიედადი**

1:0, 2:0 ეჩებერია (18, 73), 3:0 ესკერო (89)
ბილბაო: არანსუბია, ოსკარ ვალესი, ლუის პრიეტო, აიტორ ოსიო, იესტე, ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო (ლარასაბალი 85), ტიკო (ფელიპე 89), ხ. ეჩებერია, ურსაისი (ესკერო 87)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
სოსიედადი: ვესტერვედლი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (ბარკერო 46), კარპინი, არანბურუ (დე პაულა 70), კოვაჩევიჩი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: აიტორ ოსიო, არანბურუ, არანსაბალი, კარპინი, ლოპეს რეკარტე, ურსაისი
გაძევება: ნიჰათი (84)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
40 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:2 რეალი**

1:0 როხერი (40), 2:0 ტამუდო (44), 2:1 რობერტო კარლოსი (59), 2:2 ფიგუ (75)
ესპანიოლი: ტ. ხიმენესი, დ. გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი (ამაია 71), დომორო, მორალესი (მარტინ პოსე 82), როხერი (ალექს ფერნანდესი 67), მაქსი, მილოშევიჩი, ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა (მორიენტესი 87), რობერტო კარლოსი, ფიგუ, ფ. კონსეისაო, კამბიასო (სოლარი 60; მაკმანამანი 67), ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სოლდევილა, სალგადო, დომორო, კამბიასო, ტორიჩელი, ალექს ფერნანდესი, ალექს ფერნანდესი
გაძევება: ალექს ფერნანდესი (82)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
51 100 მაყურებელი

**ვალენსია 1:0 მალიორკა**

1:0 მისტა (79)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო (ხუან სანჩესი 65), ფ. აურელიო, აიალა, კარბონი, რეველიერი, ალბელდა, რუფეტე (ბარახა 68), აიმარი (მისტა 76), კარეუ, ვისენტე
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო (მიგელ სოლერი 86), კორტესი, პოლი, ლუსენმოფი, იბაგასა, ნოვო, რიერა (კარლოსი 66), მარკოსი (ლეო ბიაჯინი 88), აროლდ ლოზანო, ეტოო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: პელეგრინო, კორტესი, რიერა, ბარახა
მსაჯი: რამირეს დომინგესი
50 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:2 დეპორტივო**

0:1 ტრისტანი (60), 0:2 მაკაი (72)
ბეტისი: პრატსი, მ. ასუნსაო, ვარელა, კანიასი, კაპი, ფილიპესკუ (კალადუ 69), არზუ, მელი, დენილსონი, ხოაკინი, ჟოაუ ტომასი (კასასი 68)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, ექტორი, მაურო სილვა, სერხიო, დუშერი, ამავისკა (კაპდევილა 71), ტრისტანი (აკუნია 76), მაკაი (ლუკე 83)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ასუნსაო, კანიასი, მაურო სილვა, ამავისკა, დუშერი
მსაჯი: რუბინოს პერესი
35 000 მაყურებელი

**სელტა 0:1 სევილია**

0:1 კასკერო (75)
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, ვაგნერი (მოსტოვოი 52), ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი, კატანია, ხესული (მაკკარტი 81)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, ხუანმი, პაბლო ალფარო, გალიარდო (ოსკარი 87), ფრედი, ხ. რედონდო, კასკერო, ტორადო, რეიესი (ვ. სალასი 84), ტოედტლი (მახლასი 73)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ლუქსენი, რედონდო, ხუანმი, გალიარდო, კასკერო, ბერიზო, რეიესი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
17 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 3:0 ბარსელონა**

1:0 ტორესი (39), 2:0 ემერსონი (69), 3:0 ლუის გარსია (87)
ატლეტიკო: ბურგოსი, კონტრა (აგილერა 89), კოლოჩინი, პიბიჩი, სერხი, ემერსონი, ალბერტინი (მოვილია 79), კორეა (დანი კარვალიუ 57), ლუის გარსია, ფ. ტორესი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, კრისტენვალი (ოლეგერი 20), ფ. დე ბური, რაიციგერი, მენდიეტა, ხავი, როჩემბაკი, რიკელმე, ოვერმარსი, დანი გარსია (მოტა 46)
მწვრთნელი: ტონიო დე ლა კრუზი
გაფრთხილება: დე ბური, კონტრა, რაიციგერი, ტორესი
გაძევება: ხოსე მარი (64), როჩემბაკი (64)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
55 000 მაყურებელი

**ალავესი 1:1 რაიო ვალეკანო**

0:1 პერაგონი (19), 1:1 კარმონა (70)
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ლორენსი (მაგნო 62), აბელარდო, ედუ ალონსო, ლ. ელგერა, ნაჩო (ჟელი 55), რუბენ ნავარო, კრუიფი, ა. ილიე (ივან ალონსო 46)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, გრაფი, ონოპკო, მარიო, მიჩელი, კევედო, ასკოიტია, ხულიო ალვარესი (კორინო 85), პერაგონი (ბოლო 77), ბოლიჩი (მორა 61)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: ელგერა, დე კინტანა, ასკოიტია, ასკოიტია
გაძევება: ასკოიტია (58)
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
14 000 მაყურებელი

**მალაგა 4:0 უელვა**

1:0 დელი ვალდესი (49), 2:0 რომერო (68), 3:0 ხერარდო (70), 4:0 დელი ვალდესი (80)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, მუსამპა, რომერო, მანუ (სანდრო 71), ლეკო (კანაბალი 63), დელი ვალდესი (მიგელ ანხელი 84)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
უელვა: ლუკე, მერინო (რომერო 66), პერნია, ხავი გარსია, არპონი, იკერ ბეგონია, ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (ბენიტესი 73), ბერმეხო (სისკო 55)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: კამაჩო, არპონი, რომერო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
30 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:1 რასინგი**

0:1 მუნიტისი (13), 1:1 ჩემა (18), 2:1 სალესი (82)
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, გასპარი, მარიო, ტორეს გომესი, კოლსა, ჩემა (სოუზა 89), ფ. სალესი, აგანსო (დ. ჩირიჩი 46), ოსკარი
მწვრთნელი: პეპე მორე
რასინგი: ლემესი, კორომინა, ნერუ, არსენო, ხუანმა, ისმაელი, მატეო (ბოდიპო 84), ჩიკი (რეგუერო 70), ხავი გერერო (ბენაიუნი 60), მუნიტისი, დიეგო ალონსო
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
გაფრთხილება: ისმაელი, დიეგო ალონსო, არსენო, არსენო, კორომინა, მარკოსი
გაძევება: არსენო (84)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
11 500 მაყურებელი

**ოსასუნა 0:1 ვილიარეალი**

0:1 ხოსიკო (31)
ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, მატეო, კრუჩაგა, რივერო (ბრიტი 62), ანტონიო ლოპესი, ალფრედო (პალასიოსი 80), მოა (მორალესი 46), მუნიოსი, ივან როსადო, ალოიზო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (უნაი 68), ფარინოსი, ვიქტორი (სისკო 89), პალერმო, გიარე (ხავი ვენტა 89)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: მატეო
მსაჯი: ესკინას ტორესი
14 211 მაყურებელი

„რეალ სოსიედადს" საკუთარივე რეკორდის გამეორებამდე 16 წაუგებელი შეხვედრა დააკლდა. 16, ცხადია, ძალიან ბევრია, მაგრამ რამდენიც გაახერხა — 22-მატჩიანი წაუგებელი სერია — ისიც არ არის ცოტა. ეს 22-მატჩიანი სერია კი ორივე მხრიდან ერთნაირი ანგარიშით, 0:3 არის შემოფარგლული: 2002 წლის 21 აპრილს სანსებასტიანელები ამ ანგარიშით სევილიაში, „რეალ ბეტისთან" დამარცხდნენ, 9 თვისა და 9 დღის შემდეგ კი ბილბაოში.

ვფიქრობთ, საინტერესო ცნობაა: „სოსიედადის" 38-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია (1978-79 წლების სეზონის 29-ე ტურიდან 1979-80 წლების სეზონის 32-ე ტურამდე) სრულად ესპანური რეკორდი კი გახლავთ, მაგრამ მსოფლიოს რეკორდთან ახლოსაც ვერ მივა — 90-იან წლებში აბიჯანის ასეკ-მა კოტდივუარის ჩემპიონატებში 108 დაუმარცხებელი თამაში ჩაატარა. შინაურ ჩემპიონატებში წაუგებელი სერიების ჩამონათვალს კი, რომელშიც თბილისის „დინამოცაა" მოხსენიებული, ხვალინდელ „სარბიელში" წარმოგიდგენთ.

ესპანეთში სამი გამორჩეული დერბია — მადრიდული, სევილიური და ბასკური. ამ უკანასკნელის თავისებურება ისიც გახლავთ, რომ ბილბაოელები სანსებასტიანელებს ბასკობას უწუნებენ, ეშმაკმა წაგიღოთ, ათასი ჯურის უცხოელებით გაავსეთ გუნდიო.

თამაში თავსხმა წვიმაში გაიმართა, მაგრამ ქომაგს ეს ამბავი, აბა, როგორ შეაშინებდა და გალუმპვა არც უნანია. მატჩის გმირი ხოსება ეჩებერია შეიქნა, რომელმაც ორი ბურთი თავად გაიტანა, სანტი ესკეროს კი საგოლე პასი უბოძა. ეჩებერიას ვაჟკაცობა დამატებითი მიზეზი იყო ბილბაოელთა სიხარულისთვის — ეს ფეხბურთელი ხომ 1995 წელს „ატლეტიკოში" სწორედ „სოსიედადიდან" გადავიდა. და კიდევ, სამი ქულის გარდა „სოსიედადმა" თურქი მეგოლე ნიჰათიც დაკარგა, რომელიც აიტორ ალკისასთან უხეშობისთვის წითელი ბარათით მიაბრძანეს მოედნიდან.

ამასობაში მადრიდის „რეალი" ერთი ქულით მიუახლოვდა ლიდერს ბოლო ხანს ამოჩემებული თამაშით, ანუ ჯერ მეტოქეს ფორას აძლევს, მერე კი დაწევას ცდილობს.

ბარსელონის „მონჟუიკზე" კვირას 51 ათასი მაყურებელი მივიდა, რაც ამ სეზონის რეკორდია. კატალონიელებს ალბათ „რეალის" სათასო ფიასკომაც მისცა გული და წყალწაღებულ „ესპანიოლისგან" სასწაულს ელოდნენ. თუმცა არა მხოლოდ სასწაულს: რაც გუნდი ხავიერ კლემენტემ ჩაიბარა, „ესპანიოლმა" აშკარად მოუმატა და ზედიზედ სამი საშინაო შეხვედრა მოიგო (მათ შორის, „დეპორტივოსთან") და ხალხი სტადიონისკენ შეაბრუნა. ახლაც, მასპინძლებმა პირველი ტაიმი ორი ბურთით მოიგეს და დაცვაშიც საიმედოდ იდგნენ. მაგრამ შესვენების შემდეგ „რეალი" გარდაიქმნა და ჯერ რობერტო კარლოსმა 30 მეტრიდან ყუმბარასავით დააქუხა, მერე კი ლუიშ ფიგუმ, თითქმის იმავე მანძილიდან საჯარიმო დარტყმა აქცია გოლად.

ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „ვალენსიამ" და კვალში უდგას სანსებასტიანელ და მადრიდელ რეალელებს. ოღონდ ეს მესამე მოგება რაფაელ ბენიტესის გუნდს იოლად არ მოუხერხებია. კუნძულელ სტუმრებს მთელი თამაში თავზე კი ასხდნენ, მაგრამ ერთადერთი გოლი მიწურულისკენ, შეცვლაზე შესული მისტას ფეხით გაიტანეს. „მალიორკა" კი ამტკიცებს, რომ სერიების მოყვარული გუნდია — საწყის ათ ტურში შვიდი თამაში მოიგო (თანაც, ზედიზედ), ბოლო ათ ტურში კი — ექვსი წააგო.

ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა „რასინგი", ამათგან ბოლო სამი მარცხი კლუბის ახალ პრეზიდენტ-მწვრთნელ-ფოტოგრაფის, დმიტრი პიტერმანის თამადობით. ხოლო „რაიო ვალეკანომ" ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ქულა აართვა „ალავესს" მისსავე მოედანზე, თან კაცნაკლულმა — მადრიდელებს ძველი ალაველი, ხორხე ასკოიტია გაუგდეს.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

ესპანიოლი — რეალი. რონალდოს საქმე მისმა თანამემამულე რობერტო კარლოსმა გააკეთა

### სეგუნდადივიზიონი

#### XXI ტური

**ტენერიფე 4:0 ფეროლი**

1:0 მარიონი (60), 2:0 კიკო გონსალესი (68), 3:0 ივან ანია (88), 4:0 კიკო გონსალესი (90)

**ლევანტე 1:0 ოვიედო**

1:0 მიატოვიჩი (19)

**ლეგანესი 1:1 ტერასა**

0:1 კეკო (83), 1:1 მიგელ ანხელი (443)

**პოლი ეხიდო 2:0 ალმერია**

1:0 საბინო (14), 2:0 ხოსე (34)

**ხერესი 2:2 ნუმანსია**

0:1 როსუ (7), 1:1 კალე (103), 1:2 არანდა (26), 2:2 მენა (65)

**ელჩე 3:2 ლას პალმასი**

1:0 ნინიო (1), 1:1 პედრო ვეგა (23), 1:2 ორლანდო (45), 2:2 ლუკე (57), 3:2 კუელიარი (87)

**სალამანკა 0:1 სალამანკა**

0:1 იორდი (90)

**ალბასეტე 1:1 ეიბარი**

0:1 ხ. როდრიგესი (19), 1:1 ხესუს პერერა (35)

**კორდობა 3:0 ხეტაფე**

1:0 ფერნანდო (42), 2:0 მონტენეგრო (45), 3:0 მოიზესი (60)

**სპორტინგი 4:0 ბადახოსი**

1:0 ლოზანო (14), 2:0 კრისტიან დიასი (29), 3:0 პულიდო (58), 4:0 პაბლო ალვარესი (60)

**მურსია 2:0 კომპოსტელა**

1:0 ხუანმა (12), 2:0 რიჩი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 21 | 11 | 6 | 4 | 29:8 | 39 |
| სარაგოსა | 21 | 10 | 8 | 3 | 23:16 | 38 |
| ლევანტე | 21 | 9 | 9 | 3 | 31:21 | 36 |
| ალბასეტე | 21 | 7 | 12 | 2 | 26:17 | 33 |
| ელჩე | 21 | 7 | 9 | 5 | 26:17 | 30 |
| სპორტინგი | 21 | 7 | 9 | 5 | 20:17 | 30 |
| ეხიდო | 21 | 7 | 9 | 5 | 20:18 | 30 |
| ხერესი | 21 | 8 | 6 | 7 | 23:22 | 30 |
| ტერასა | 21 | 5 | 13 | 3 | 21:20 | 28 |
| ლას პალმასი | 21 | 6 | 9 | 6 | 25:25 | 27 |
| ლეგანესი | 21 | 5 | 11 | 5 | 22:21 | 26 |
| სალამანკა | 21 | 6 | 8 | 7 | 12:12 | 26 |
| ალმერია | 21 | 6 | 8 | 7 | 23:32 | 26 |
| ტენერიფე | 21 | 4 | 13 | 4 | 22:19 | 25 |
| კომპოსტელა | 21 | 5 | 9 | 7 | 22:22 | 24 |
| ხეტაფე | 21 | 6 | 6 | 9 | 27:30 | 24 |
| ნუმანსია | 21 | 5 | 8 | 8 | 20:25 | 23 |
| ეიბარი | 21 | 5 | 8 | 8 | 15:20 | 23 |
| ფეროლი | 21 | 5 | 8 | 8 | 17:28 | 23 |
| ბადახოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 13:30 | 22 |
| კორდობა | 21 | 3 | 9 | 9 | 13:19 | 18 |
| ოვიედო | 21 | 4 | 6 | 11 | 18:29 | 18 |

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 სოსიედადი | 20 | 12 | 7 | 1 | 36:24 | 12 | 43 | 9 | 6 | 3 | 0 | 19:12 | 7 | 21 | 11 | 6 | 4 | 1 | 17:12 | 5 | 22 |
| 2 რეალი | 20 | 10 | 9 | 1 | 42:21 | 21 | 39 | 9 | 6 | 3 | 0 | 25:9 | 16 | 21 | 11 | 4 | 6 | 1 | 17:12 | 5 | 18 |
| 3 ვალენსია | 20 | 11 | 5 | 4 | 33:16 | 17 | 38 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:6 | 14 | 23 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 15 |
| 4 დეპორტივო | 20 | 10 | 5 | 5 | 29:24 | 5 | 35 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 5 | 17 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 18 |
| 5 ბეტისი | 20 | 9 | 6 | 5 | 30:23 | 7 | 33 | 11 | 6 | 2 | 3 | 15:9 | 6 | 20 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:14 | 1 | 13 |
| 6 სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 22:19 | 3 | 30 | 11 | 5 | 3 | 3 | 13:8 | 5 | 18 | 9 | 4 | 0 | 5 | 9:11 | -2 | 12 |
| 7 ატლეტიკო | 20 | 7 | 7 | 6 | 32:26 | 6 | 28 | 11 | 5 | 4 | 2 | 18:11 | 7 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 14:15 | -1 | 9 |
| 8 მალაგა | 20 | 6 | 9 | 5 | 27:24 | 3 | 27 | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 19 | 9 | 1 | 5 | 3 | 8:12 | -4 | 8 |
| 9 ვალიადოლიდი | 20 | 8 | 3 | 9 | 21:23 | -2 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:11 | 2 | 17 | 10 | 3 | 1 | 6 | 8:12 | -4 | 10 |
| 10 მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 24:33 | -9 | 27 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:18 | -8 | 11 | 11 | 5 | 1 | 5 | 14:15 | -1 | 16 |
| 11 სევილია | 20 | 6 | 7 | 7 | 16:15 | 1 | 25 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 3 | 13 | 11 | 3 | 3 | 5 | 7:9 | -2 | 12 |
| 12 ვილიარეალი | 20 | 6 | 7 | 7 | 20:22 | -2 | 25 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 14 | 11 | 2 | 5 | 4 | 9:12 | -3 | 11 |
| 13 ბილბაო | 20 | 7 | 4 | 9 | 30:35 | -5 | 25 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:13 | 3 | 17 | 9 | 2 | 2 | 5 | 14:22 | -8 | 8 |
| 14 ალავესი | 20 | 6 | 7 | 7 | 26:31 | -5 | 25 | 10 | 4 | 4 | 2 | 13:8 | 5 | 16 | 10 | 2 | 3 | 5 | 13:23 | -10 | 9 |
| 15 ბარსელონა | 20 | 6 | 5 | 9 | 27:28 | -1 | 23 | 9 | 4 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 15 | 11 | 2 | 2 | 7 | 9:16 | -7 | 8 |
| 16 ოსასუნა | 20 | 6 | 5 | 9 | 22:26 | -4 | 23 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:11 | 1 | 16 | 9 | 1 | 4 | 4 | 10:15 | -5 | 7 |
| 17 ესპანიოლი | 20 | 6 | 3 | 11 | 24:31 | -7 | 21 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:14 | 4 | 17 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 18 რასინგი | 20 | 6 | 2 | 12 | 22:29 | -7 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 11 | 11 | 3 | 0 | 8 | 10:19 | -9 | 9 |
| 19 რაიო | 20 | 5 | 4 | 11 | 20:29 | -9 | 19 | 10 | 2 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 9 | 10 | 3 | 1 | 6 | 8:15 | -7 | 10 |
| 20 უელვა | 20 | 3 | 5 | 12 | 16:40 | -24 | 14 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | -7 | 9 | 10 | 1 | 2 | 7 | 5:22 | -17 | 5 |

**XXI ტური**

9 თებერვალი

რაიო ვალეკანო — მალაგა
უელვა — ვალენსია
მალიორკა — სელტა
სევილია — ატლეტიკო
ბარსელონა — ბილბაო
სოსიედადი — ესპანიოლი
რეალი — ბეტისი
დეპორტივო — ოსასუნა
ვილიარეალი — ვალიადოლიდი
რასინგი — ალავესი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 14 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 11 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 10 |
| პანდიანი (მალიორკა) | 10 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 10 |
| ურსაისი (ბილბაო) | 9 |





რადომირ ანტიჩი „ბარსელონას" მწვრთნელი ეგებ ადრეც გამხდარიყო,
მაგრამ ლუის ნუნიესის წასვლის მერე ხუან გასპარს გონებაში სხვა ფიქრები უტრიალებდა

# ანტიჩმა ბარსელონა ჩაიწერა

## ჰორიზონტზე სეგუნდა და ჩემპიონთა თასი გამოჩნდა

*თუ „ვილიარეალი" მოუგებს „ოსასუნას", „ბილბაო" მოუგებს „რეალ სოსიედადს", „რასინგი" მოუგებს „ვალიადოლიდს", „სევილია" მოუგებს „სელტას", ხოლო „ესპანიოლი" მოუგებს „რეალს", „ბარსელონა" გასავარდნთა ზონაში ამოჰყოფს თავს — აი, ასეთი რამ გამოთვალეს კატალონიის სიამაყის ქომაგებმა მას მერე, რაც შაბათის ერთადერთ შეხვედრაში „ბარსელონამ" 0:3 წააგო მადრიდში „ვისენტე კალდერონზე".*

*ნახსენები ხუთი თამაშიდან სამი სწორედ ისე დასრულდა, როგორც შიშობდნენ, მაგრამ ორი „გატყდა" და „ბარსელონა" გასავარდნთა ზონამდე აღარ დაქვეითდა, თუმცაღა იქამდე სულ რაღაც სამი საფეხური და ამდენივე ქულა აშორებს.*

*პრიმერადივიზიონის ისტორიაში „ბარსელონა" მე-12 ადგილზე ქვევით აქამდე არასდროს ყოფილა...*

### წრე შეიკრა

2000 წლის 17 მაისს, „ბარსელონას" დიდმა პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „ბატონებო და ქალბატონებო, გილოცავთ, მე გადავდექი". ამ სიტყვებმა იმდენად გააოგნა მთელი ესპანეთი, რომ მეორე თუ მეათეხარისხოვნად აქცია იმავე დღეს მომხდარი მეორე ამბავი: ხესუს ხილი ხილმა მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელობიდან დაითხოვა სერბი რადომირ ანტიჩი.

მაშინ ნუნიესთან ერთად წავიდა ლუის ვან გაალიც და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ ხუან გასპარს, გონებაში ერთთავად კარს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნები რომ უტრიალებდა, ჰოლანდიელის ნაცვლად უმუშევრად დარჩენილი სერბის მიწვევა არც უფიქრია.

გავიდა ორწელიწადნახევარი. „ბარსელონამ" მეორედ გაისტუმრა ვან გაალი და მადრიდის „ატლეტიკოსთან" მატჩის წინ ხუან გასპარმა გააკეთა ის, რაც ჯერ კიდევ 2000 წლის მაისში შეეძლო გაეკეთებინა.

დღეს შეუძლებელია იმის თქმა, როგორ წავიდოდა კლუბის საქმე, გასპარს ანტიჩი მაშინ რომ გახსენებოდა და აზრიც არ აქვს. მაგრამ ერთიცაა — „ბარსელონას" დღეს მეხანძრე სჭირდება, რადომირ ანტიჩს კი აქამდე ხანძარი არასდროს ჩაუქრია.

### შენ ხარ ერთადერთი

რადომირ ანტიჩმა „ბარსელონასთან" 6-თვიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც, წარმატების შემთხვევაში, შესაძლოა გაუგრძელონ. წარმატებად კი ჩემპიონთა ლიგის მოგებას ან ესპანეთის ჩემპიონატში ოთხეულში მოხვედრას ჩაუთვლიან.

კატალონიელთა ახალი დამრიგებელი ესპანური ფეხბურთის ისტორიაში მეორე მწვრთნელია, რომელსაც „რეალშიც" უმუშავია და „ბარსელონაშიც". პირველი ურუგვაელი ენრიკე ფერნანდესი გახლდათ, რომელიც „ბარსას" 1947-50 წლებში, „რეალს" კი 1953-55 წლებში წვრთნიდა. სამაგიეროდ, ანტიჩი ერთადერთი სპეციალისტია, სამივე ესპანურ გრანდში რომ უმუშავია. მესამე, ცხადია, „ატლეტიკოა".

ისიც მოგეხსენებათ, რომ ანტიჩის სამწვრთნელო კარიერა, ბელგრადის „პარტიზანში" გატარებული სამი სეზონის გარდა, მთლიანად ესპანეთთანაა დაკავშირებული, უდიდეს წარმატებას კი 1996 წელს მიაღწია, როცა „ატლეტიკოს" დუბლი შეასრულებინა. სხვათა შორის, ამ წარმატებამ ისე ალაფრთოვანა კაცთმოძულე ხესუს ხილი — მწვრთნელებს ყოველწლიურად რომ ცვლიდა — რომ ანტიჩი კლუბში სამი სეზონით გააჩერა, ხოლო მოგვიანებით კიდევ ორჯერ დაუძახა — ორჯერვე „მეხანძრედ" და, რაც ყველაზე საყურადღებოა — ანტიჩმა მეხანძრეობა ვერ გასწია. 2000 წლის 17 მაისის მერე კი „ატლეტიკო" სულაც მეორე დივიზიონში დაქვეითდა.

ამის მერე ანტიჩი „ოვიედოში" მივიდა და პრობლემები სეზონის დასაწყისშივე დაეწყო: მისი რეკომენდაციით, კლუბმა თავქარიანი სტენ კოლიმორი იყიდა, რომელსაც რამდენიმე კვირაში კარიერის დასრულება მოეპრიანა. ამ გარიგებამ „ოვიედო" გვარიანად აზარალა, მერე მწვრთნელს ქომაგებთან და ფეხბურთელებთან გაუფუჭდა ურთიერთობა, საბოლოოდ კი „ოვიედო" სეგუნდადივიზიონში ჩავარდა და დღესაც იქაა.

და ვინ სჭირდება „ბარსას"? მწვრთნელი, რომელიც გავარდნისგან იხსნის.

ბოლო წლების წარუმატებლობების მიუხედავად, ანტიჩის იმიჯი არ შებღალულა. ის კვლავაც რჩება ევროპის ერთ-ერთ პატივსაცემ მწვრთნელად. „ბარსაში" მისვლამდე მას უამრავი შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ უარს ამბობდა. ფულს კომენტატორობით შოულობდა, თამაშობდა ჭადრაკს და მარბელაში მზეს ეფიცხებოდა.

### ანტიჩმა ვიდეო ჩართო

სერბის კონტრაქტი ძალაში კვირას, ნაშუადღევს შევიდა, პირველი ვარჯიში კი გუშინ ჩაატარა. ანუ შაბათ საღამოს „ატლეტიკოს" „ბარსა" უმწვრთნელოდ შეხვდა. უფრო სწორად, საამმატჩოდ სათადარიგოთა სკამზე მჯდარ ხესუს ანტონიო დე ლა კრუზს მხოლოდ სკამზე ჯდომა ევალებოდა და არა გუნდის დამოძღვრა.

თავდაპირველად ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ვან გაალის წასვლიდან ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე, გუნდს კარლოს რექსაჩი უნდა გაძღოლოდა, მაგრამ კლუბის სპორტულმა დირექტორმა ეტყობა თავისი მწვრთნელობის პერიოდი გაიხსენა და შეთავაზება შორს დაიჭირა. ამიტომაც გასპარმა სათადარიგო შემადგენლობის ერთ-ერთ მწვრთნელ დე ლა კრუზს უხმო.

შეგახსენებთ, დე ლა კრუზმა „ატლეტიკომდე" გუნდი „ბენფიკასთან" ამხანაგურ მატჩში გაიყვანა, ოღონდ ვან გაალის სისტემიდან იოტისოდენადაც არ გადაუხვევია. ის მატჩი „ბარსამ" მოიგო და „ატლეტიკოსთანაც" ზუსტად იმავე სქემით, ვან გაალისებურად ითამაშა.

თავად ანტიჩი გუნდს მადრიდში არ გაჰყოლია, თამაშს სახლში უყურა. იქამდე სერბმა მის სახლთან მოყურყუტე ჟურნალისტებს კარი მიუხურა, კომენტარებისთვის ხვალ მომაკითხეთო, ვიდეოში სუფთა კასეტა ჩადო და თამაშის ჩაწერას შეუდგა.

ჩასაწერი და გასარჩევი კი, ანტიჩს, იცოცხლეთ, ბლომად აქვს. სამაგიეროდ, ყველაფერს კარგად თუ გაარჩევს და „ბარსას" კრიზისიდან დაიხსნის, არც კლუბი დარჩება ვალში: ამ ექვს თვეში 600 ათას ევროს ისედაც ხომ უხდიან, ოთხეულში აღზევებისთვის ერთ ამდენს პრემიად მიართმევენ, ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის კი მილიონ 200 ათასსაც ჩაუჯიბავენ. ჰოდა, ანტიჩი იჯდა და ტელევიზორს გაფაციცებით უყურებდა, დე ლა კრუზისთვის მატჩის მსვლელობისას დარეკვა და რაიმეს რჩევა აზრადაც არ მოსვლია.

### არაგონესმა ჩაიცინა და მოჯრა

სანამ ანტიჩი ტელევიზორს უჯდა, დე ლა კრუზი შიშჩამდგარი თვალებით უყურებდა, როგორ უშვებდნენ მისი ფეხბურთელები გოლებს. ცხადია, მას წაგებისთვის პასუხს ისედაც არავინ მოსთხოვდა და გარდა ამისა, რამდენიმე შემამსუბუქებელი გარემოებაც ზურგს უმაგრებდა:

„ბარსას" დისკვალიფიკაციის გამო აკლდნენ პატრიკ კლუივერტი და ფილიპ კოკუ, გაბრი და სავიოლა დაშავებულები იყვნენ, ხოლო პუიოლს და რიკელმეს ტრავმები ბოლომდე არ მოეშუშებინათ. 21-ე წუთზე ფეხი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა კრისტენვალიც.

მოედანზე კი დაჰქროდა ყმაწვილი ფერნანდო ტორესი, რომლის შეჩერებაც იმ საღამოს შეუძლებელი იყო. პირველი გოლისას 18 წლის EL NINO-მ ისე ჩაუქროლა 32 წლის ფრანკ დე ბურს, თითქოს ტყუპისცალი მოედანზე საერთოდ არ ყოფილიყო. ტორესმა კიდევ რამდენჯერმე შეუტია სახიფათოდ ბონანოს კარს, მაგრამ მეორე გოლის გატანის პატივი ემერსონს ხვდა წილად. მან თავით გაიტანა, მესამე კი ლუის გარსიამ შეაგდო და მეტად ეფექტურადაც: ბურთი ბონანოს გადასცდა, ხარიხას გაეხახუნა და ბადეში გაეხვია.

„ბარსელონა" კი არაფრით ჰგავდა თანამოაზრეთა ჯგუფს, ხოლო მენდიეტას და ოვერმარსის ორიოდე სახიფათო მომენტი ოდენ კარგი თამაშის საერთო სურათიდან ამოგლეჯილ ფრაგმენტებს წააგავდა. სტუმართა შექმნილი ყველაზე თვალსაჩინო ეპიზოდი კი ფაბიო როჩემბაკის ხოსე მარისთან ჩხუბი გამოდგა, რომლისთვისაც ორივენი გააძევეს.

— ურიგოდ არ გვითამაშია — თქვა ნამატჩევს დე ლა კრუზმა — მაგრამ იერიშების დასრულებისას ბედი არ გვწყალობდა, „ატლეტიკომ" კი თავისი სამივე მომენტი გოლად აქცია.

ამის პასუხად მადრიდელთა მჩცოვანმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა ირონიულად ჩაიცინა: „ჩვენ მეტის გატანაც შეგვეძლო".

### მოვიდა, მოვიდა, იმედი მოვიდა

კვირას, „კამპ ნოუზე" პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც რადომირ ანტიჩმა ერთობ ხალისიანად ილაპარაკა:

— „ბარსელონას" მწვრთნელად დანიშვნა ჩემს ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა, თუმცა რას ვგრძნობ ახლა მე, ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია, კლუბს როგორ გამოვადგები. ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ენერგიას და გამოცდილებას არ დავზოგავ კრიზისიდან თავის დასაღწევად. ცვლილებები აუცილებლად იქნება, თუმც ამაზე დეტალურად საუბარი ჯერჯერობით საჭირო არ არის, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ გუნდს 4-4-2 სქემაზე გადავაწყობ. უპირველესად კი ფეხბურთელებმა რწმენა უნდა დაიბრუნონ. გუნდმა ძალიან ბევრი თამაში წააგო და დამარცხებულის კომპლექსისგან უნდა გათავისუფლდეს. ვფიქრობ, ამას მოვახერხებ. ამასთანავე, ჩემპიონთა თასის მოგებასაც ვეცდებით, რადგან „ბარსელონა" იმ დონის კლუბია, რომელსაც მხოლოდ კრიზისიდან თავის დაღწევა არ დააკმაყოფილებს, მას ყოველწლიურად თუნდაც ერთი თასი სჭირდება.

ხუან გასპარმა კი თქვა, ანტიჩი საუკეთესო არჩევანია, დარწმუნებული ვარ, არ შევცდებით, მან კლუბში იმედი მოიტანაო.

ანტიჩს და გასპარს ეს სიტყვები შეიძლებოდა 2000 წლის მაისშიც ეთქვათ.

**გიორგი დარჯანია**



ფაბიო როჩემბაკმა და ხოსე მარიმ მუშტი-კრივი გამართეს




„ლაციოდან" „ბარსელონაში" გადაბარგებული სორინი გუშინ რადომირ ანტიჩმა ჩაიბარა

## იტალია

### სერია A. XIX ტური

**მილანი 2:1 მოდენა**

1:0 პირლო (77პ), 2:0 ინძაგი (80), 2:1 სკოპონი (90)
მილანი: დიდა, შიმიჩი (რივალდო 61), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, რედონდო (პირლო 76), ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო (ტომასონი 64), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, პონცო, მარასკო, მილანეტო, ბალესტრი (დ. კამარა 77), ჯ. კოლუჩი (მორეტი 71), მაური (სკოპონი 67), ვინიაროლი
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: გატუზო, მილანეტო, ჩევოლი
მსაჯი: ტრეფოლონი
50 000 მაყურებელი

**ტორინო 0:2 ინტერი**

0:1 ვიერი (50), 0:2 ოკანი (56)
ტორინო: ბუჩი, კომოტო, დელი კარი, ფატორი, მეცანო, სომეზე, კონტიკიო, დონატი, პ. კასტელინი, ფრანკო (ომოლადე 65), მაგალიანესი (ოსმანოვსკი 75)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, მატერაცი, პასკუალე, ოკანი (გამარა 85), კ. ძანეტი, ემრე (ბეატი 90), რეკობა, ვიერი (მორფეო 81), ბატისტუტა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ემრე, კონტიკიო, დელი კარი
მსაჯი: რაკალბუტო
25 000 მაყურებელი

**ატალანტა 1:1 იუვენტუსი**

1:0 პინარდი (40), 1:1 დი ვაიო (50)
ატალანტა: ტაიბი, სივილია, ნატალი, სალა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი, პინარდი (ტრამეძანი 83), როსინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი, ა. კონტე (ტუდორი 46), დავიდსი (ტაკინარდი 74), დელ პიერო, ტრეზეგე, დი ვაიო (ზალაიეტა 74)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: დონი, ძენონი, კამორანეზი, დონი
გაძევება: დონი (81)
მსაჯი: პელეგრინო
25 500 მაყურებელი

**კიევო 1:1 ლაციო**

1:0 კორინი (45პ), 1:1 სიმეონე (89)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, ლორენცი, ს. ლანა, ლუსიანო (დელა მორტე 87), პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი, ფ. კოსატო, ბიელანოვიჩი (პელისიერი 66)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნეგრო, სტამი, ფავალი, ლაზეტიჩი (ს. ინძაგი 71), ჯანიკედა, ლივერანი (სიმეონე 83), ფიორე, კ. ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მსაჯი: ფარინა
14 921 მაყურებელი

**პარმა 3:2 უდინეზე**

1:0 ადრიანო (11), 2:0 ბარონე (56), 2:1 პიზარო (57), 3:1 ნაკატა (85), 3:2 იანკულოვსკი (90)
*პიზარომ ვერ გაიტანა პენალტი (4, მეკარე)*
პარმა: ფრეი, კარდონე, ბონერა, ფერარი, ჟუნიორი (ბრეშიანო 75), ლამუში, ბარონე (მატეო ბრიგი 78), ე. ფილიპინი, ნაკატა, ადრიანო (პ. კანავარო 25), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სოტილი, კროლდრუპი, პინცი (მუნტარი 75), დ. პიზარო, როსიტო (ვარლეი 33), ჯემიტი, ალბერტო, იანკულოვსკი, მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ბონერა, პინცი, ჟუნიორი
გაძევება: ფერარი (22), კროლდრუპი (45)
მსაჯი: როდომონტი
16 000 მაყურებელი

**რომა 3:1 ბოლონია**

1:0 მონტელა (36), 1:1 სინიორი (41), 2:1 დელვეკიო (52), 3:1 კასანო (72)
*ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (52, მეკარე)*
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, ალდაირი, კაფუ, ემერსონი, დაკური, კანდელა, ტოტი, მონტელა (ა. კასანო 59), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, პარამატი, მ. კასტელინი, ვანოლი, კ. ამორუზო (ნერვო 65), ოლივე, ლ. კოლუჩი, ლოკატელი (მენი 78), სინიორი, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
მსაჯი: ტომბოლინი
50 000 მაყურებელი

**რეჯინა 3:1 პერუჯა**

1:0 დი მიკელე (1), 1:1 რეზაეი (2), 2:1 კოცა (27), 3:1 ბონაცოლი (47)
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ი. ფრანჩესკინი, ვარგასი, კოცა (მოცარტი 76), დიანა, მამედე, ნაკამურა (მორაბიტო 89), ფალზერანო, დი მიკელე (სავოლდი 82), ბონაცოლი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
პერუჯა: კალაჩი, რეზაეი (სულჩისი 28), ვიალი, დი ლორეტო, ზე მარია, ლუმბუტისი, ბლაზი, ობოდო (ბარონიო 56), ტედესკო, მიკოლი (კარაჩოლო 73), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: დი ლორეტო, ვარგასი, მამედე, ვრიზასი
მსაჯი: კასარა
23 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 1:4 ბრეშა**

0:1 აპია (7), 1:1 უბნერი (17), 1:2 ბაჯო (32), 1:3 ტონი (47), 1:4 ტარე (87)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკი (ძერბინი 52), მანგონე, გურენკო, ბაიოკო (კოისი 58), მარესკა, ტოსტო, მარკიონი, დე ჩეზარე (ფერარეზე 58), უბნერი
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, დაინელი, პიზანო, ბაკინი, აპია, გვარდიოლა (შოპი 84), მატუზალემი, სერიჩი (ბილიკა 25), რ. ბაჯო (ტარე 81), ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბაიოკო, პიზანო, მარტინესი, კრისტანტე
მსაჯი: როზეტი
6 000 მაყურებელი

**ემპოლი 0:0 კომო**

ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, კუპი, ჯამპიერეტი, ფიჩინი (გრიეკო 67), ბუშე, ვანუკი (კაპელინი 67), როკი, ბორიელო (დი ნატალე 57)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
კომო: ბრუნერი, გრეგორი, ტომაში, ტარანტინო, კოე, კორენტი (ალეგრეტი 76), პეკია (ბინოტო 67), მ. როსი, მუსიჩი, კარბონე, კაჩა
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
გაფრთხილება: ფიჩინი, ჯამპიერეტი
მსაჯი: აიროლდი
5 000 მაყურებელი

# ნუ უხეშობთ, თავდამსხმელებო!


REUTERS ბერგამოდან

ატალანტა — იუვენტუსი. ედგარ დავიდსს ბერგამოში მედგრად დახვდნენ

**მარჩელო ლიპიმ** ბერგამოში „ატალანტას" დასამარცხებლად შემტევი შემადგენლობა შეარჩია — მარკო დი ვაიო ალესანდრო დელ პიეროსა და დავიდ ტრეზეგეს წყვილს მიამატა, რათა თავდასხმა სამკაციანი გაეხადა, მაგრამ შეხვედრა მაინც ფრედ, 1:1 დასრულდა. მეტიც, ჩემპიონთან შეხვედრაში ანგარიში „ატალანტამ" გახსნა. მე-40 წუთი მიდიოდა, როდესაც ამომავალ ვარსკვლავად აღიარებულმა ალექს პინარდიმ მშვიდად და ოსტატურად შეასრულა წარმატებული შეტევის დამაგვირგვინებელი დარტყმა.

„იუვემ" შესვენებიდან ხუთ წუთში გაათანაბრა. გოლი კუთხურს მოჰყვა: არგენტინელმა მაურო კამარანეზიმ ჩააწოდა, მარკო დი ვაიო კი ყველაზე მაღლა ახტა და თავით შეაგდო ბურთი მასპინძელთა კარში.

ამის შემდეგ „ბებერმა ქალბატონმა" მარწუხებს მოუჭირა, მაგრამ „ატალანტას" მეკარემ, მასიმო ტაიბიმ რამდენიმე ჩინებული დარტყმა მოიგერია.

თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთი რომ რჩებოდა, მასპინძლებმა კაცი დაკარგეს — მეორე ყვითელი დანაშაული გამთამაშებელ კრისტიანო დონის გაუწითლდა, რის გამოც „იუვეს" ხელფეხი მეტად გაეხსნა და შეცვლაზე შესულ მარსელო ზალაიეტას თავისი შანსი რომ გამოეყენებინა, ბერგამოდან სამ ქულას წაიღებდა.

„იუვენტუსმა" სამივე შეცვლა გამოიყენა, ამას კი საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ როდესაც დელ პიერომ ტრავმა მიიღო და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა, მარჩელო ლიპიმ ხელები გაშალა — სტუმრებმაც ათი კაცით დაასრულეს შეხვედრა.

ვერონაში ჩასულ „ლაციოს", „იუვენტუსისა" არ იყოს, ჩამორჩენის გაბათილება მოუწია. „კიევომ" ანგარიში ტაიმთა გასაყარზე მეტად იშვიათი ხერხით, ორჯერ დარტყმული ერთი პენალტით გახსნა. საინტერესო იყო თავად პენალტის მიზეზიც: „კიევოს" თავდამსხმელი ფედერიკო კოსატო თავს იცავდა და საკუთარ საჯარიმოში „ლაციოს" მცველი პაოლო ნეგრო წააქცია. ეს გახლდათ მიმდინარე სეზონში „ლაციოს" კარში დანიშნული პირველი პენალტი, რომელიც ეუჯენიო კორინიმ პირველად რომ დარტყმა [illegible] რაღაც არ მოეწონა [illegible].

ერთი სიტყვით, რომაელები ჩამორჩნენ და ანგარიშის გათანაბრება 89-ე წუთამდე ვერ შეძლეს, ხოლო 89-ზე სიმონე ინძაგისა და სტეფანო ფიორეს გვარიანი კომბინაცია, მოედანზე ექვსი წუთის შესული დიეგო სიმეონეს ზუსტი თავურით დასრულდა.

„ინტერი" ტურინში, „დელე ალპიზე" გახლდათ, ოღონდ ქალაქის უფრო სუსტ გუნდთან, „ტორინოსთან" სათამაშოდ და, პირველ ტაიმში ფანტაზია აკლდა. შესვენებიდან სამ წუთში კი „შავ-ლურჯებმა" საჩუქარი მიიღეს: „ტორინოს" მეკარემ, ლუკა ბუჩიმ ბურთი პირდაპირ ალვარო რეკობას გადააწოდა, რომელმაც ჩაჰკიდა და კრისტიან ვიერის სეზონის მე-17 გოლი გაატანინა.

ამ ამბიდან ექვსი წუთის შემდეგ რეკობამ კიდევ ერთი გოლი შექმნა: მარცხენა ფრთაზე ორ მცველს გაუმკლავდა და ბურთი თურქ ნახევარმცველს ოკან ბურუქს მიართვა.

„პარმამ" უდინეში მოვლენებით დახუნძლული შეხვედრა 3:2 მოიგო. მეორე ტაიმში ორივე გუნდი ათკაციანი გახდა, „პარმას" მატეო ფერარი გაუგდეს, ხოლო „უდინეზეს" პერ კროლდრუპი. პარმელები 2:0-ს იგებდნენ, ანგარიში მე-11 წუთზე ბრაზილიელმა ადრიანომ გახსნა, ხოლო 56-ზე სიმონე ბარონემ მეორე შეაგდო. 57-ზე დავიდ პიზარომ სხვაობა შეკვეცა, თუმცა იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ 85-ზე მესამე გაიტანა. ბოლო გოლი უდინელი ჩეხის, მარეკ იანკულოვსკის ფეხისა იყო.

**ბაჩუნა ძიძია**


REUTERS ტურინიდან

ტორინო — ინტერი. ოკანმა და კრისტიან ვიერიმ ტურინიდან ორი გოლი გაიყოლეს

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 19 | 13 | 3 | 3 | 36:13 | 23 | 42 | 10 | 9 | 1 | 0 | 20:3 | 17 | 28 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:10 | 6 | 14 |
| 2 ინტერი | 19 | 13 | 3 | 3 | 38:20 | 18 | 42 | 9 | 7 | 1 | 1 | 17:4 | 13 | 22 | 10 | 6 | 2 | 2 | 21:16 | 5 | 20 |
| 3 იუვენტუსი | 19 | 11 | 6 | 2 | 35:14 | 21 | 39 | 9 | 5 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 18 | 10 | 6 | 3 | 1 | 17:7 | 10 | 21 |
| 4 ლაციო | 19 | 10 | 7 | 2 | 34:18 | 16 | 37 | 10 | 3 | 5 | 2 | 18:12 | 6 | 14 | 9 | 7 | 2 | 0 | 16:6 | 10 | 23 |
| 5 კიევო | 19 | 10 | 3 | 6 | 29:19 | 10 | 33 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:10 | 8 | 20 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 2 | 13 |
| 6 პარმა | 19 | 8 | 6 | 5 | 33:22 | 11 | 30 | 10 | 7 | 1 | 2 | 21:11 | 10 | 22 | 9 | 1 | 5 | 3 | 12:11 | 1 | 8 |
| 7 უდინეზე | 19 | 8 | 5 | 6 | 19:19 | 0 | 29 | 9 | 5 | 4 | 0 | 9:4 | 5 | 19 | 10 | 3 | 1 | 6 | 10:15 | -5 | 10 |
| 8 ბოლონია | 19 | 7 | 7 | 5 | 22:19 | 3 | 28 | 9 | 7 | 1 | 1 | 16:7 | 9 | 22 | 10 | 0 | 6 | 4 | 6:12 | -6 | 6 |
| 9 რომა | 19 | 7 | 5 | 7 | 31:28 | 3 | 26 | 9 | 4 | 3 | 2 | 19:12 | 7 | 15 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | -4 | 11 |
| 10 პერუჯა | 19 | 7 | 4 | 8 | 24:26 | -2 | 25 | 9 | 6 | 1 | 2 | 15:5 | 10 | 19 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:21 | -12 | 6 |
| 11 ემპოლი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:27 | -3 | 23 | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | -3 | 10 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 13 |
| 12 ბრეშა | 19 | 5 | 7 | 7 | 24:28 | -4 | 22 | 9 | 2 | 4 | 3 | 11:11 | 0 | 10 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | -4 | 12 |
| 13 მოდენა | 19 | 6 | 2 | 11 | 13:28 | -15 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 11 | 10 | 3 | 0 | 7 | 7:18 | -11 | 9 |
| 14 რეჯინა | 19 | 5 | 4 | 10 | 18:33 | -15 | 19 | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 15 | 9 | 1 | 1 | 7 | 4:20 | -16 | 4 |
| 15 ატალანტა | 19 | 4 | 6 | 9 | 20:30 | -10 | 18 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:16 | -3 | 12 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 6 |
| 16 პიაჩენცა | 19 | 3 | 4 | 12 | 15:32 | -17 | 13 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:13 | -8 | 5 |
| 17 კომო | 19 | 1 | 8 | 10 | 11:27 | -16 | 11 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 6 | 10 | 0 | 5 | 5 | 4:13 | -9 | 5 |
| 18 ტორინო | 19 | 2 | 5 | 12 | 11:34 | -23 | 11 | 10 | 2 | 2 | 6 | 4:16 | -12 | 8 | 9 | 0 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 3 |

### XX ტური

9 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | - | ატალანტა |
| ბრეშა | - | კიევო |
| იუვენტუსი | - | ემპოლი |
| პერუჯა | - | მილანი |
| კომო | - | პარმა |
| უდინეზე | - | პიაჩენცა |
| ინტერი | - | რეჯინა |
| მოდენა | - | რომა |
| ლაციო | - | ტორინო |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 17 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 10 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 9 |
| ადრიანო (პარმა) | 9 |

### სერია B

#### XXI ტური

**ანკონა 3:2 ნაპოლი**

1:0 განცი (9), 1:1 დიონიჯი (22), 2:1, 3:1 განცი (70, 90), 3:2 დიონიჯი (90)

**ბარი 0:1 ვენეცია**

0:1 როსი (32)

**კალიარი 1:1 ლივორნო**

0:1 კანარზა (47), 1:1 აბეიონი (70)

**კატანია 2:1 ლეჩე**

1:0 ოლივეირა ბაროსო (22), 2:0 ფინი (40), 2:1 ჩირილო (89)

**კოზენცა 0:1 ვერონა**

0:1 აბრუსკატო (60)

**სალერნიტანა 0:0 მესინა**

**სამპდორია 1:0 პალერმო**

1:0 კონტეპი (6ს.კ.)

**ტერნანა 1:3 ჯენოა**

1:0 ბორგობელო (20), 1:1 მალაგო (47), 1:2 დე ფრანჩესკო (59), 1:3 მოსკარდი (78პ)

**ვიჩენცა 2:1 ასკოლი**

1:0 ფისორე (22), 2:0 ქედა (39), 2:1 ბონფილიო (90)

**სიენა — ტრიესტინა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრიესტინა | 20 | 10 | 6 | 4 | 33:22 | 36 |
| სამპდორია | 21 | 9 | 9 | 3 | 29:18 | 36 |
| ანკონა | 21 | 9 | 8 | 4 | 31:25 | 35 |
| ვიჩენცა | 21 | 9 | 8 | 4 | 31:25 | 35 |
| ლივორნო | 21 | 10 | 4 | 7 | 26:17 | 34 |
| სიენა | 20 | 8 | 9 | 3 | 23:16 | 33 |
| ლეჩე | 21 | 7 | 11 | 3 | 24:19 | 32 |
| პალერმო | 21 | 8 | 6 | 7 | 21:22 | 30 |
| კალიარი | 21 | 8 | 5 | 8 | 20:25 | 29 |
| მესინა | 21 | 7 | 7 | 7 | 31:28 | 28 |
| ასკოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:24 | 27 |
| ტერნანა | 21 | 7 | 6 | 8 | 22:24 | 27 |
| ვენეცია | 21 | 7 | 6 | 8 | 22:27 | 27 |
| ვერონა | 21 | 6 | 8 | 7 | 25:23 | 26 |
| ჯენოა | 21 | 6 | 7 | 8 | 26:25 | 25 |
| კატანია | 21 | 7 | 3 | 11 | 25:33 | 24 |
| ნაპოლი | 21 | 4 | 9 | 8 | 23:31 | 21 |
| ბარი | 21 | 3 | 11 | 7 | 16:20 | 20 |
| კოზენცა | 21 | 5 | 5 | 11 | 18:25 | 20 |
| სალერნიტანა | 21 | 3 | 4 | 14 | 14:35 | 13 |

### სერია C1/A

22-ე ტური: ჩეზენა — ლუკეზე 3:1; ლუმეცანე — ჩიტადელა 0:0; პადოვა — პრატო 2:1; პიზა — ალძანო 1:0; რეჯანა — არეცო 1:2; სპალ — პრო პატრია 2:1; სპეცია — პისტოიეზე 0:0; ტრევიზო — კარარეზე 3:0; ვარეზე — ალბინოლეფე 1:1

### სერია C1/B

22-ე ტური: აველინო — ფერმანა 2:1; კიეტი — ლანჩანო 1:1; ჯულიანოვა — სორა 1:1; პესკარა — მარტინა 3:0; სამბენედეტეზე — ტერამო 1:3; ტორესი — პატერნო 0:1; ტარანტო — ბენევენტო 0:0; პეზარო — კროტონე 0:0; ვიტერბეზე — აკილა 3:1

## იტალიის ჩემპიონატი
### მეცხრამეტე ტურის მატჩი
## მილანი 2:1 მოდენა
კახა კალაძე: 90 წუთი


პენალტი პირლოს ანდეს და არც შემცდარან: „მილანი“ დაწინაურდა

# კალაძე წააქციეს და გაწითლდნენ

„მოდენა“ მეცამეტე ადგილზეა, მაგრამ ლიდერს სამი ქულის მოპოვებაში გვარიანად შეუშალა ხელი. რა სიახლე იყო „მილანის“ შემადგენლობაში? ის, რომ, 2000 წელს 10 მილიონ დოლარად ნაყიდმა არგენტინელმა ვეტერანმა ფერნანდო რედონდომ მხოლოდ ახლა შეძლო სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა — გამოჯანმრთელდა. მან პირლოს პოზიციაზე ითამაშა.

პირველი საგოლე მომენტი „მოდენამ“ შექმნა — დიდას ფაბიო ვინიაროლის დარტყმულის მოგერიება მოუხდა, ხოლო კუთხურზე გადავარდნილი ბურთი რომ ჩააწოდეს, კოლუჩიმ დაჰკრა თავური, მაგრამ ააცილა.

ამის შემდეგ „შავ-წითლებმა“ ნელნელა იგდეს ინიციატივა. ჯერ იყო და კახა კალაძის მკვრივი მილებული და დარტყმული მეკარე მარკო ბალოტამ მოიგერია, ხოლო შემდეგ, იმავე ბალოტამ კლარენს ზეედორფს და ანდრეი შევჩენკოს უთხრა ბურთის გაშვებაზე უარი.

რაც შეეხება რუი კოშტას მიერ ჯარიმიდან დარტყმულს, ბურთი ხარიხას გაეხახუნა, ამრიგად, პირველ ტაიმში გოლი არ გასულა. არც მაშინ, მსაჯის წამატებულ წუთებში ბალოტამ ბურთის ტრაექტორია რომ ვერ გამოთვალა, შევჩენკომ კი ამით ვერ ისარგებლა და უკანა ძელთან თავის მიკვრა ვერ შეძლო.

შესვენების შემდეგ მომენტები თავიდანვე შეიქმნა. აქეთ, ვინიაროლს შეეძლო გატანა, იქით — ინძაგის. და მაინც, „შავ-წითლებს“ სულის შთამბერავი კაცი სჭირდებოდათ, ამიტომაც შეიყვანა კარლო ანჩელოტიმ ჯონ დალ ტომასონი და, რაც მთავარია, რივალდო.

62-ე წუთზე ინძაგის ოფსაიდის გამო გოლი არ ჩაუთვალეს, 76-ე წუთზე კი პონციომ კალაძე საჯარიმოში წააქცია, რის გამოც პენალტითაც დაისაჯა და წითელი ბარათითაც. „მილანი“, რომელსაც ამ სეზონში რამდენიმე პენალტი დიახაც აუცილებია, ამჯერად მიზნიანი გამოდგა და შეცვლაზე წამების წინ შესულმა ანდრეა პირლომ ბურთთან პირველი შეხებით გახსნა ანგარიში.

გათანაბრების სურვილით შეპყრობილმა „მოდენამ“ შეუტია და ზურგიც მოიშიშვლა: ინძაგი ახტა, რივალდომ კი ციმ-ციმ მიართვა ბურთი.

სტუმრებმა თავიანთი გოლი მსაჯის წამატებულ წუთებში გაიტანეს — სკოპონიმ ლონივრად დაარტყა, ბოლოს კი დიდამ მილანეტოს არ გაატანინა, თორემ...

**ბაჩუნა ძიდია**




ფრანგმა ქალბატონმა სასტუმრო „საკაში“ ჩამოაყალიბა ბავშვთა სათხილამურო სკოლა

- სასტუმროს ტერიტორიაზე მოქმედებს მინი საბაგირო გზა მუდმივი დენით;
- უზრუნველყოფა თანამედროვე სათხილამურო ინვენტარით;
- თხილამურებზე სრიალის სწავლება 2 წლის ასაკიდან ფრანგული მეთოდებით;
- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- უფრო კვალიფიციურად სავარჯიშოდ მსურველები გაიგზავნებიან საფრანგეთის მუდმივთოვლიან კურორტ ვალდიზერში.

რაც მთავარია, შეღავათიანი ფასები

ბაკურიანი, კოსტავას №25 ტელ.: 8 (99) 10-24-63; 8 (99) 91-57-60


# თეთრი თოვლის თრთოლა
## სქოთებს ცის თერძი დასჭირდათ

### შოტლანდია
#### პრემიერლიგა XXV ტური

**რეინჯერსი 2:1 აბერდინი**

1:0 მოლსი (37), 1:1 ტოში (75), 2:1 მოლსი (77)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი, კ. მური, მალკოლმი, ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა (კანიჯა 68), რ. დე ბური, მოლსი (მაკლენი 89), ნ. მაკკანი (ბონისელი 78)

*შოთა არველაძე ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: იანგი

49 667 მაყურებელი

**პარტიკი 0:2 სელტიკი**

0:1, 0:2 სატონი (7, 33)

**დანდი იუნ. 2:1 მოზერუელი**

1:0 ტოდი (5), 1:1 დ. ადამსი (203), 2:1 ჩ. მილერი (68)

**ჰართსი 3:0 დანფერმლაინი**

1:0 სევერინი (45), 2:0 უელსი (49), 3:0 მაკკენა (90)

**ლივინგსტონი 0:4 კილმარნოკი**

0:1 მაკლარენი (21), 0:2 კანერო (34), 0:3 კ. ბოიდი (49), 0:4 მაკლარენი (70)

**დანდი — ჰიბერნიანი**

*მატჩი 27-ე წუთზე 1:0-ზე დიდთოვლობის გამო ჩაიშალა*

1:0 კაბალიერო (13)

დანდი: სპერონი, მაკკეი, უილკი, ხიზანიშვილი, მაირი, რაე, ნემსაძე, ბრედი, ნოვო, კაბალიერო, მილნი

მწვრთნელი: ჯიმ დაფი


„დანდი“ ფაბიენ კაბალიეროს გოლით იგებდა...

**შოტლანდია** მზიური მხარე არაა, მაგრამ ბრიტანელებს ზამთრის ქარ-ყინვაში თამაშს ძნელად თუ გადაათქმევინებთ. მაგრამ სქოთებს რას ვერჩით — მათ ხომ ზამთრის სამკვირიანი შესვენება მაინც გაახერხეს, თუმც მწვრთნელ-ფეხბურთელები შვებულებაში როდი გაუშვიათ, უბრალოდ ოფიციალურ მატჩებს აარიდეს.

BBC ირწმუნება, დანდიში მზე სხივებს აფრქვევდა, როცა „დანდი“ — „ჰიბერნიანის“ მატჩი დაიწყო. ქართველია გუნდიც მალე წინ გაიჭრა — გარი ბრეიდიმ უზუსტესად უპასუხა ნაჩო ნოვოს, მან კი ფაბიან კაბალიეროს დაუგორა ბურთი, რომელმაც 15-16 მეტრიდან საგოლედ გაისროლა.

გოლი 12-ე წუთზე გავიდა, მაგრამ „დენს პარკს“ ციდან ფანტელები მანამდეც დაუშინეს. ბარდნა-ბარდნაში წითელი ბურთი კი შეაშველეს ფეხბურთელებს, მაგრამ მოედანიც დაითოვლა და დიდრონი და უხვი ფიფქების გამო მხედველობაც გაჭირდა.

მე-15 წუთზე არბიტრმა გუნდები გასახდელში შერეკა, ათი წუთი აცდევინა იქ, ამასობაში თოვლი კიდევ უფრო გამძვინვარდა და მსაჯმაც გადაწყვეტილება გამოაცხადა — მოედნის ხაზებს ვერ ვხედავ და მატჩი უნდა გადაიდოსო.

ვერდიქტის გამო მენეჯერებს არ დაუჩივლიათ, თუმც ჯიმ დაფი მაინც შეწუხებული იყო მიმხდარით — ვიგებდით და მატჩის შეწყვეტამ გაგვაწბილაო.

შოთა არველაძის გარეშე მოთამაშე „რეინჯერსს“ „აბერდინმა“ აუშალა ნერვები, მაგრამ მიხაელ მოლსის ჩუბინობით ჩაფრებმა მაინც მოიგეს.

ჰოლანდიელმა ფორვარდმა პირველი გოლი ფერნანდო რიკსენის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ შეაგდო — მოლსმა მეტოქე და თანაგუნდელთა ჯგროში ოსტატურად გაამძვრინა ბურთი თავურით.

„აიბროქსზე“ ყინჩად მოთამაშე აბერდინელებმა გამათანაბრებელი კი შეაგდეს, თუმც „რეინჯერსმა“ მალევე უპასუხა — კლაუდიო კანიჯას დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ მოლსმა ცაციათი საგოლედ დაამატა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 26 | 22 | 3 | 1 | 72:19 | 69 |
| სელტიკი | 26 | 21 | 3 | 2 | 67:16 | 66 |
| ჰართსი | 26 | 12 | 7 | 7 | 44:41 | 43 |
| კილმარნოკი | 26 | 11 | 6 | 9 | 31:36 | 39 |
| დანფერმლაინი | 25 | 11 | 3 | 11 | 39:45 | 36 |
| ჰიბერნიანი | 25 | 10 | 4 | 11 | 36:38 | 34 |
| დანდი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:39 | 28 |
| ლივინგსტონი | 26 | 7 | 5 | 14 | 34:41 | 26 |
| პარტიკ თისლი | 26 | 5 | 9 | 12 | 26:42 | 24 |
| აბერდინი | 26 | 5 | 9 | 12 | 22:41 | 24 |
| დანდი იუნ. | 26 | 4 | 8 | 14 | 22:49 | 20 |
| მოზერუელი | 25 | 4 | 6 | 15 | 29:44 | 18 |

#### I დივიზიონი

25-ე ტური: ეარი — სენტ მირენი 0:0; ფოლკირკი — სენტ ჯონსტონი 1:1; როსი — ალოა 1:2. *კლაიდი — ინვერნესი და ქუინ ოფ საუთ — არბროთი გადაიდო*

#### II დივიზიონი

23-ე ტური: ერდრი — ბრეჩინი 3:0; ჰამილტონი — რეითი 0:0; სტრანრარი — დამბარტონი 1:2. *კოუდენბითი — სტენჰაუზმური და ფორფარი — ბერვიკი გადაიდო*

#### III დივიზიონი

23-ე ტური: *ისტ ფაიფი — სტირლინგი, ისტ სტირლინგი — გრეტნა, ელგინი — ალბიონი, მონტროუზი — მორტონი და პიტერჰედი — ქუინზ პარკი გადაიდო*


...მაგრამ ასეთ ამინდში თამაშის გაგრძლება შეუძლებელი გამოდგა

# ფენერბაჰჩეს პრემია ყელში გაეჩხირა

### თურქეთი

**გადადებული მატჩები:** ელაზიგი — გიოზთეფე 0:0; მალათია — ანკარაგიუჯიუ 3:1; დენიზლი — გაზიანთეფი 1:0; ფენერბაჩე — ბეშიქთაში 0:1

**შარშან** შემოდგომაზე „ფენერბაჰჩემ“ გერმანელი ვერნერ ლორანტის თავკაცობით სტამბოლურ დერბიში „გალათასარაი“ 6:0 გაანადგურა. ლორანტი გაუშვეს და ახლა გუნდს მისი თურქი თანაშემწე ოგუზ ჩეტინი წვრთნის. ახალი წლის პირველივე მატჩში ჩეტინს მეორე სტამბოლურ ვეშაპთან, „ბეშიქთაშთან“ მოუხდა ჭიდილი და დამარცხდა.

შარშან გაზაფხულიდან მოყოლებული, „ბეშიქთაშმა“ უკვე 26-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო, მათ შორის უეფას თასზეც, „ფენერბაჰჩეს“ კი 2001 წლის 2 დეკემბრის შემდეგ მშობლიურ „შუქრუ სარაჯოღლუზე“ არ წაუგია.

დერბის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. ფენერელმა ფათიჰ აკიელმა მეტოქეს დაუნდობლად ჩაარტყა და ალი აიდინმა ფათიჰი გააძევა. კაცნაკლულმა „ფენერბაჰჩემ“ მირჩა ლუჩესკუს გუნდს სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. შესვენების შემდეგ ტუმერის პასით აჰმეთ დურსუნმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

მატჩამდე „ბეშიქთაშის“ ფეხბურთელებს მოგებისთვის 20-20 ათას დოლარს დაჰპირდნენ, „ფენერბაჰჩეს“ კი 10-10-ს. „ფენერბაჰჩეს“ მოთამაშეებმა ათიათასს ხომ ვერ მიიღეს და ათიათასიც დაგებისთვის დაუქვითეს.

„ბეშიქთაშის“ პატრონ სერდარ ბილგილის ჩემპიონობა ამოუჭრია გულში და გუნდი იტალიელი ლეგიონერით გააძლიერა. „მილანისა“ და „ბრეშას“ ყოფილი მოთამაშე ფედერიკო ჯუნტი სტამბოლში ჩავიდა, სადაც მას „ბეშიქთაშის“ შავ-თეთრ მაისურას მოარგებენ.

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 18 | 13 | 5 | 0 | 29:9 | 44 |
| გალათასარაი | 18 | 12 | 3 | 3 | 28:17 | 33 |
| გენჩლერი | 18 | 11 | 4 | 3 | 47:20 | 37 |
| ფენერბაჰჩე | 18 | 10 | 5 | 3 | 39:21 | 35 |
| გაზიანთეფი | 18 | 8 | 6 | 4 | 31:22 | 30 |
| ტრაბზონი | 18 | 8 | 6 | 4 | 22:14 | 30 |
| მალათია | 18 | 7 | 7 | 4 | 32:22 | 28 |
| დენიზლი | 18 | 6 | 6 | 6 | 20:20 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 7 | 2 | 9 | 23:27 | 23 |
| დიარბაქირი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:24 | 20 |
| ისთანბული | 18 | 5 | 4 | 9 | 21:28 | 19 |
| ადანა | 18 | 4 | 7 | 7 | 19:29 | 19 |
| ალთაი | 18 | 5 | 3 | 10 | 25:39 | 18 |
| ბურსა | 18 | 3 | 7 | 8 | 23:32 | 16 |
| ელაზიგი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:28 | 16 |
| გიოზთეფე | 18 | 3 | 7 | 8 | 17:28 | 16 |
| სამსუნი | 18 | 4 | 4 | 10 | 18:35 | 16 |
| ქოჯაელი | 18 | 4 | 4 | 13 | 20:33 | 13 |



REUTERS

არსენალი — ფულემი. „ჰაიბერიზე" სამი ქულა რობერ პირესმა დატოვა

# ცივი მზე და პირესი

## ორი ბევრია, პროქტორ!

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXVI ტური**

**ვესტ ჰემი 0:3 ლივერპული**

0:1 ბაროში (7), 0:2 ჯერარდი (9), 0:3 ჰესკი (67)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მ. ჯონსონი, რეპკა, დეილი, უინტერბერნი (ბრევეტი 59), ბოიერი, კარიკი, ჯ. კოული, ტ. სინკლერი (დეფო 68), დი კანიო, ლ. ფერდინანდი (კანო 55)
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ანშო, რიისე, შმიცერი (შეირუ 79), დიუფი, დ. მერფი (ჰამანი 82), ჯერარდი, ჰესკი, ბაროში (ოუენი 72)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: კოული
მსაჯი: მესიასი
35 033 მაყურებელი

**ასტონ ვილა 3:0 ბლეკბერნი**

1:0, 2:0 დაბლინი (2, 40), 3:0 ბერი (81)
ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი (სტონტონი 84), მელბერგი, იონსენი, ჯ. სამუელი, ჰიცლსპერგერი, გუდიონსონი (ჰენდრი 90), ბერი, ს. მური (დე ლა კრუზი 79), დაბლინი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ბლეკბერნი: ფრიდელი, მარტინ ტეილორი, ნ. იოჰანსონი, გრეშკო (იანსენი 78), კურტისი (ოსტენსტადი 46), ტომპსონი (გილესპი 70), თუგაი, ფლიტკროფტი, მაკიველი, ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ბერი, ტომპსონი, იოჰანსონი, მაკიველი, ტეილორი, ფლიტკროფტი
მსაჯი: დინი
29 171 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ფულემი**

1:0 პირესი (17), 1:1 მალბრანკი (29), 2:1 პირესი (90)
არსენალი: სიმენი, ლორენი (კ. ტურე 84), ს. კემპბელი, კიოუნი, ეშლი კოული, ვილტორდი (ჯეფერსი 70), ჟილბერტო სილვა (ვან ბრონკჰორსტი 79), ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ფულემი: მაიკ ტეილორი, ბარლი, გომა, ჯეტუ, ფინანი, ბოა მორტე, შ. დევისი, მალბრანკი, ლეგვინსკი (მელვილი 10), მარლე, საჰა (საჰა 69)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ლორენი, ანრი, ტურე, მელვილი
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
38 050 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:2 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროი (15), 0:2 გიგზი (22)
საუთჰემპტონი: ნიემი (პ. ჯოუნსი 86), ტელფერი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბენალი, ფ. ფერნანდესი, ოკლი, ა. სვენსონი, მარსდენი, ბიტი, ტესემი (კ. დევისი 70)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერი: ბარტეზი (კეროლი 37), გ. ნევილი, ოში, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ბექემი (სქოულზი 69), ვერონი, როი კინი, გიგზი, ვან ნისტელროი (ფორლანი 88), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ა. სვენსონი, ბენალი
მსაჯი: დოუდი
32 085 მაყურებელი

**ბოლტონი 4:2 ბირმინგემი**

1:0 კანინგემი (12ს.კ.), 1:1 სევიჯი (44), 2:1 პედერსენი (46), 2:2 მორისონი (60), 3:2 ჯორკაეფი (84), 4:2 ფეისი (87)
ბოლტონი: იასკელაინენი, მენდი, ბერგსონი, ნგოტი, ჩარლტონი, ფრანდსენი, კამპო, ოკოჩა, რ. გარდნერი, ჯორკაეფი, პედერსენი (ფეისი 81)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ბირმინგემი: ბენეტი, კენა, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დევლინი (კიროვსკი 73), სევიჯი, კლემენსი, ლაზარიდისი, მორისონი, დიუგარი (ჯონი 67)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: გარდნერი, ფრანდსენი, მორისონი, დიუგარი
მსაჯი: გალაჰერი
24 288 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 შერინგემი (18), 1:1 ძოლა (40)
ჩელსი: კუდიჩინი, გალასი, დესაი, ტერი, ლე სო (ბასელბაინკი 72), გრონკიაერი (კ. კოული 87), ე. პეტი, ლამპარდი, ზენდენი (მელხიოტი 46), ძოლა, გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ტოტენჰემი: კელერი, კარი, კინგი, ე. გარდნერი (დოჰერტი 37), ტარიკო, ანდერტონი, ბუნიევჩევიჩი, პოიეტი, ს. დევისი, შერინგემი, ივერსენი (ეზერინგტონი 79)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: პეტი, ტარიკო
მსაჯი: დარკინი
41 384 მაყურებელი

**ევერტონი 2:0 ლიდსი**

1:0 ანსუორთი (56პ), 2:0 რაძინსკი (68)
ევერტონი: რ. რაიტი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი, ტიე, ჯემილი, ნეისმიტი, რაძინსკი, მაკბრაიდი (კ. კემპბელი 73)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, მილსი, მატეო (რადებე 71), ლუკიჩი (ჰარტი 46), ა. სმიტი, ბაკე (მილნერი 79), ოკონი, უილკოქსი, ვიდუკა, კიუელი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ბაკე
მსაჯი: ჰელსი
40 153 მაყურებელი

**სიტი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 კლემენტი (18), 1:1 ჯილკრისტი (22ს.კ.), 1:2 მური (71)
სიტი: ნეში, სომეილი, დისტინი, ჰაუი, რ. დანი (რაიტ-ფილიპსი 46), ბენარბია (ბელმადი 67), ჰორლოკი, ფოე, კ. იენსენი (გოტერი 80), ანელკა, ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, გრიგენი, დ. მური, ჯილკრისტი, ა. ჩემბერსი, უოლვორკი, მაკინესი, კუმასი (სიგურდსონი 85), კლემენტი, რობერტსი, მ. ჰიუზი (დიჩიო 65)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: დისტინი, უოლვორკი, გრიგენი
გაძევება: რობერტსი (81)
მსაჯი: ბერი
34 765 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:3 ჩარლტონი**

0:1 ფიში (24), 0:2, 0:3 პროქტორი (29ს.კ., 32ს.კ.), 1:3 ფილიპსი (81პ)
სანდერლენდი: სორენსენი, გრეი, ბები, კრადოკი, ს. რაიტი, არკა, კილბეინი (მაკკარტნი 89), გ. მაკკანი, პროქტორი (მ. სტიუარტი 74), ფილიპსი, ფლო
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
ჩარლტონი: დ. კელი, კ. პაუელი, ფორტუნი, რუფუსი, ფიში, ნ. იენსენი (კონჩესკი 81), იუელი, პარკერი (ბარტ-უილიამსი 90), კიშიშევი, ლისბი (ჯ. იოჰანსონი 75), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: კილბეინი, ფიში
მსაჯი: ვაილი
36 042 მაყურებელი

**მიდლსბრო — ნიუკასლი**

გადაიდო

**შაბათ საღამოს**, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" დაკარგული ქულებით ლამის უსწორდებოდა ლიდერ „არსენალს".

„მანჩესტერს" ერთი შეხედვით რთული თამაში ჰქონდა საუთჰემპტონში, სადაც გადათოვლილი ინგლისისგან განსხვავებით, მოედანს ზამთრის სამხრეთული მზე დაჰნათოდა. ფერგიუსონის გუნდს კი პრობლემა არ ჰქონია, რუუდ ვან ნისტელროიმ მალევე დაავგვირგვინა მშვენიერი კომბინაცია და თავისი 25-ე სეზონური გოლიც ჩაიწერა. ამას მოჰყვა რაიან გიგზის ორი დარტყმა, პირველი მცველს მოხვდა, მეორე კი კარში შევარდა და თამაშის ბედიც გარკვეული შეიქნა, რადგან „საუთჰემპტონს" ფრთებს არავინ გააშლევინებდა. სამხრეთელთა ლიდერები იო ტესემი და ჯეიმს ბიტი ეგრეც ვერ მიუახლოვდნენ სტუმართა კარს. მანჩესტერელებს სამწუხაროდ ის დაურჩათ, რომ ადრევე დაუშავდათ მეკარე ფაბიენ ბარტეზი.

ამ დროს „ჰაიბერიზე" ის ხდებოდა, რომ რობერ პირესმა ადრევე კი დააწინაურა „მეთოფეები" „ფულემთან" შეხვედრაში, მაგრამ სტიდ მალბრანკმა ასევე მალე გაათანაბრა და ამ ფრანგულ თამაშსა და ჭიდილში გაირკვა, რომ „არსენალი" ვერ იგებს.

გამარჯვებამ სულ წამებით მოასწრო მსაჯის სასტვენს: შორეულ ძელთან ბურთს კვლავ პირესი ჩაუცურდა და ჟან ტიგანამ კვლავ წააგო, არსენ ვენგერმა კი კვლავ მოიგო. „ეს იყო თამაში, რომელსაც გამოცდილება და სულიერი სიძლიერე სჭირდებოდა, რაც გამოგვაჩნდა კიდეც", თქვა ვენგერმა თამაშის შემდეგ.

იმ საღამოს ლონდონში კიდევ ერთი თამაში იყო. „ტოტენჰემი" „ჩელსის" სტუმრობდა და უნდა ვთქვათ, რომ ტოტენჰემელთათვის ჩელსელებთან თამაში სეზონის ლამის მთავარი უბედურებაა ხოლმე. 25 შეხვედრაა დეზებიანებს ლურჯებისთვის არ მოუგიათ, ბოლოს კი „სტემფორდ ბრიჯზე" 13 წლის წინათ იმარჯვეს. ჰოდა, რამხელა სიხარული იქნებოდა, როცა ტედი შერინგემმა ანგარიში გახსნა. ეს იყო ღია თამაში, ორმხრივ შემტევი ფეხბურთით და ჯანფრანკო ძოლამ პირველი ტაიმის დამთავრებამდევე ჩასვა საჯარიმო დარტყმა. სხვა მხრივ, სტუმართა მეკარე კეისი კელერი ნამდვილი გმირი იყო, მეორე ტაიმში გამარჯვების გოლის გატანა ორივეს შეეძლო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფრე გამოვიდა, რამაც „ჩელსის" ნამდვილად ვერ გამოუკეთა ხასიათი, გლენ ჰოდლი კი კმაყოფილი იყო: „ჩვენ მეტი პრობლემა შევუქმენით, ვიდრე მათ შეგვიქმნეს".

შაბათს კევინ კიგანმა თქვა: „კიდევ ერთხელ, როცა გვინდოდა გვეთქვა, რომ მშენებლობა კარგად მიმდინარეობს, ვილაცას უფლება მივეცით, რომ ჩვენი კოშკისთვის აგურები გამოეცალა".

ეს კი იმიტომ, რომ ყველასთვის მოულოდნელად შინ წააგო „მანჩესტერ სიტიმ" და თანაც „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან". უიღბლო გამოდგა რობი ფაულერის გამოჩენა „მეინ როუდზე".

ამ გამარჯვებამ „ვესტ ბრომვიჩი" ბოლო ადგილიდან დაძრა, რადგან ტრაგიკულთა კომპანიის სხვა ორმა გუნდმა პირწმინდად წააგო: წინა ტურში შინ პირველად გამარჯვებულ „ვესტ ჰემს", ახლა „ლივერპულის" მასპინძლობა უწევდა, მაგრამ მე-9 წუთისთვის სათამაშო აღარაფერი ჰქონდა. ჯამში სტუმრებმა 3:0 მოიგეს და სამივე გოლი იონ არნე რიისეს ჩამოწოდებულ კუთხურებს მოჰყვა.

უარესი ამბავი გათამაშდა სანდერლენდში, სადაც იქაურმა „შავმა კატებმა" ორი გოლი გაიტანეს საკუთარ კარში და მარცხი პირველ ტაიმშივე გაიფორმეს სტუმარ „ჩარლტონთან". სამწუთიან მონაკვეთში საბრალო მაიკლ პროქტორმა, რომელსაც ამ სეზონში მოწინააღმდეგის კარშიც არაერთხელ გაუტანია, ორი ავტოგოლი მოახერხა. ხალხის უმრავლესობამ შესვენებაზევე დატოვა „ლაითის" სტადიონი, ტანჯულთა მენეჯერმა ჰოვარდ უილკინსონმა კი მაინც ყოჩაღად თქვა: „გავარდნაზე არც ვფიქრობ. გავძვრებით".

კიდევ ერთი მძიმე კვირა ჰქონდა „ლიდსს", რომელიც „გუდისონ პარკს" სტუმრობდა და არავინ იცოდა, დარჩებოდა თუ არა გუნდში ტერი ვენეიბლზი, რომელიც ჯონათან ვუდგეიტის გაყიდვამ გაანაწყენა. „ევერტონი" კი ის გუნდი აღარ არის, არეულ „ლიდსთან" რომ ვერაფერი გააწყოს. კომფორტული გამარჯვების შემოქმედი ტომას რაძინსკი იყო, რომელმაც ჯერ პენალტი აკიდა დენი მილსს, მერე კი თავადაც გაიტანა ლი ტაის გადაცემის შემდეგ.

„ნიუკასლმა" ტური გამოტოვა, „ასტონ ვილამ" გოლების გემო არ დაკარგა და ისე, როგორც წინა ტურში, ახლაც სამი ბურთით მოიგო, თუმცა მისგან ძლეული „ბლეკბერნის" თავკაცს, გრემ სუნესს მსაჯთა გალანძღვა მაინც არ გასჭირვებია.

**ირაკლი გამყრელიძე**

### პირველი დივიზიონი

**I დივიზიონი. XXX ტური**

**დერბი ქაუნთი 3:0 როტერჰემი**

1:0 ძინძლაძე (16), 2:0 ბოლდერი (45), 3:0 მაკლეოდი (49)
დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი (ჯექსონი 53), ევატი, ელიოტი, ზავაგნო, ბოლდერი, ლი, ბოერტიენი, ძინძლაძე, ლ. მორისი (ტუდგეი 87), მაკლეოდი (რავანელი 65)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მსაჯი: დანი
26 257 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:0 იფსვიჩი**

1:0 იორგენსენი (62), 2:0 ფორესტი (68)

**ბარნსლი 2:5 რედინგი**

0:1 სიდუელი (37), 0:2, 0:3 სალაკო (45, 52), 1:3 მური (55), 1:4 სიდუელი (79), 2:4 ვესტი (90), 2:5 ჰენდერსონი (90)

**ქოვენთრი 0:1 უოტფორდი**

0:1 ჰიდი (60)

**ლესტერი 1:0 კრისტალ პალასი**

1:0 დიკოვი (77)

**მილუოლი 1:0 შეფილდ იუნ.**

1:0 აიფილი (63)

**ნორვიჩი 2:2 სტოკი**

1:0 რობერტსი (2), 2:0 მაკეი (23), 2:1 გუნარსონი (63), 2:2 მილსი (88)

**პორტსმუთი 3:0 გრიმსბი**

1:0 აიგბენი (4), 2:0 ფორდი (76), 3:0 ქუოში (90)

**პრესტონი 3:0 ჯილინგემი**

1:0 ლუისი (29), 2:0 ალექსანდერი (38), 3:0 ეტჩი (55)

**შეფილდ უენსდი 0:4 ვულვერჰემპტონი**

0:1, 0:2 პრუდლოკი (24, 42), 0:3 მილერი (67), 0:4 სტარიჯი (89)

**უოლსოლი 1:0 ბრაიტონი**

1:0 ლეიტაუ (7)

**უიმბლდონი 2:3 ნოტინგემი**

0:1, 0:2 ჰერვუდი (29, 32), 1:2 გრეი (59), 2:2 ფრენსისი (63), 2:3 ჯონსონი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 31 | 18 | 10 | 3 | 59:30 | 64 |
| ლესტერი | 31 | 18 | 7 | 6 | 48:30 | 61 |
| შეფილდი | 29 | 16 | 7 | 6 | 43:27 | 55 |
| ნოტინგემი | 31 | 13 | 9 | 9 | 47:33 | 48 |
| ქოვენთრი | 31 | 12 | 10 | 9 | 38:33 | 46 |
| რედინგი | 30 | 14 | 4 | 12 | 34:31 | 46 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 7 | 11 | 36:45 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 50:32 | 45 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 9 | 9 | 41:29 | 45 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 46:37 | 44 |
| როტერჰემი | 31 | 12 | 8 | 11 | 50:42 | 44 |
| მილუოლი | 31 | 12 | 8 | 11 | 40:45 | 44 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 13 | 7 | 43:32 | 43 |
| დერბი | 31 | 12 | 5 | 14 | 39:42 | 41 |
| ბარნსლი | 30 | 11 | 8 | 11 | 45:55 | 41 |
| ჯილინგემი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:41 | 40 |
| ბრედფორდი | 30 | 10 | 7 | 13 | 39:51 | 37 |
| უიმბლდონი | 29 | 9 | 9 | 11 | 45:46 | 36 |
| პრესტონი | 31 | 8 | 11 | 12 | 45:51 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41:47 | 33 |
| გრიმსბი | 31 | 7 | 7 | 17 | 37:60 | 28 |
| უენსდი | 31 | 6 | 8 | 17 | 29:52 | 26 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 36:58 | 25 |
| ბრაიტონი | 30 | 5 | 8 | 17 | 27:47 | 23 |

### მეორე დივიზიონი

30-ე ტური: ჩესტერფილდი — ქუინზ პარკი 2:4; ბარნსლი — სუინდონი 1:1; ბლეკპული — ბრისტოლი 0:0; ქრიუ — ნორთჰემპტონი 3:3; პიტერბრო — ლუტონი 1:1; პლიმუთი — მენსფილდი 3:1; სტოკპორტი — კოლჩესტერი 1:1; ტრანმერი — პორტ ვეილი 1:0; უიგანი — ჩელტენემი 0:0; უიკომბი — ნოტსი 3:1; კარდიფი — ოლდემი 1:1. ბრენტფორდი — ჰადერსფილდი გადაიდო

### მესამე დივიზიონი

30-ე ტური: ბორნმუთი — ბოსტონი 2:1; იორკი — მაკლსფილდი 2:1; როვერსი — კარლაილი 1:2; ექსეტერი — შრიუსბერი 1:1; ჰარტლპული — ტორკი 3:2; რაშდენი — სუონსი 1:1; საუთენდი — ბილი 3:0; რექსემი — სკანთორპი 2:1. ბერი — ოქსფორდი, დარლინგტონი — კემბრიჯი, ლეიტონი — როჩდეილი და ლინკოლნი — კიდერმინსტერი გადაიდო

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 26 | 17 | 5 | 4 | 56:28 | 28 | 56 | 14 | 12 | 1 | 1 | 33:13 | 20 | 37 | 12 | 5 | 4 | 3 | 23:15 | 8 | 19 |
| 2 მანჩესტერი | 25 | 15 | 5 | 5 | 42:24 | 18 | 50 | 13 | 11 | 1 | 1 | 25:8 | 17 | 34 | 12 | 4 | 4 | 4 | 17:16 | 1 | 16 |
| 3 ნიუკასლი | 25 | 15 | 3 | 7 | 41:31 | 10 | 48 | 13 | 12 | 0 | 1 | 24:7 | 17 | 36 | 12 | 3 | 3 | 6 | 17:24 | -7 | 12 |
| 4 ჩელსი | 26 | 12 | 9 | 5 | 45:26 | 19 | 45 | 13 | 8 | 4 | 1 | 27:10 | 17 | 28 | 13 | 4 | 5 | 4 | 18:16 | 2 | 17 |
| 5 ევერტონი | 26 | 13 | 6 | 7 | 34:30 | 4 | 45 | 13 | 8 | 4 | 1 | 20:12 | 8 | 28 | 13 | 5 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 17 |
| 6 ლივერპული | 26 | 11 | 9 | 6 | 37:25 | 12 | 42 | 13 | 5 | 7 | 1 | 19:11 | 8 | 22 | 13 | 6 | 2 | 5 | 18:14 | 4 | 20 |
| 7 საუთჰემპტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 28:25 | 3 | 39 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:11 | 7 | 26 | 12 | 3 | 4 | 5 | 10:14 | -4 | 13 |
| 8 ჩარლტონი | 26 | 11 | 6 | 9 | 34:33 | 1 | 39 | 12 | 5 | 3 | 4 | 18:17 | 1 | 18 | 14 | 6 | 3 | 5 | 16:16 | 0 | 21 |
| 9 ტოტენჰემი | 26 | 11 | 6 | 9 | 36:36 | 0 | 39 | 12 | 7 | 3 | 2 | 21:15 | 6 | 24 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | -6 | 15 |
| 10 სიტი | 26 | 11 | 4 | 11 | 37:37 | 0 | 37 | 13 | 7 | 1 | 5 | 23:19 | 4 | 22 | 13 | 4 | 3 | 6 | 14:18 | -4 | 15 |
| 11 ასტონ ვილა | 26 | 10 | 5 | 11 | 30:27 | 3 | 35 | 14 | 9 | 1 | 4 | 21:9 | 12 | 28 | 12 | 1 | 4 | 7 | 9:18 | -9 | 7 |
| 12 ბლეკბერნი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:31 | 0 | 34 | 13 | 5 | 5 | 3 | 18:14 | 4 | 20 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 14 |
| 13 ლიდსი | 26 | 9 | 4 | 13 | 33:34 | -1 | 31 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:14 | -1 | 14 | 14 | 5 | 2 | 7 | 20:20 | 0 | 17 |
| 14 მიდლსბრო | 25 | 8 | 6 | 11 | 29:29 | 0 | 30 | 13 | 7 | 5 | 1 | 25:16 | 9 | 26 | 12 | 1 | 1 | 10 | 4:13 | -9 | 4 |
| 15 ფულემი | 25 | 7 | 6 | 12 | 26:33 | -7 | 27 | 12 | 6 | 2 | 4 | 14:10 | 4 | 20 | 13 | 1 | 4 | 8 | 12:23 | -11 | 7 |
| 16 ბირმინგემი | 25 | 6 | 8 | 11 | 22:35 | -13 | 26 | 11 | 3 | 4 | 4 | 11:14 | -3 | 13 | 14 | 3 | 4 | 7 | 11:21 | -10 | 13 |
| 17 ბოლტონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28:43 | -15 | 24 | 13 | 3 | 6 | 4 | 17:20 | -3 | 15 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:23 | -12 | 9 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 25 | 5 | 5 | 15 | 19:37 | -18 | 20 | 12 | 3 | 3 | 6 | 10:16 | -6 | 12 | 13 | 2 | 2 | 9 | 9:21 | -12 | 8 |
| 19 ვესტ ჰემი | 26 | 4 | 8 | 14 | 28:51 | -23 | 20 | 14 | 1 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 9 | 12 | 3 | 2 | 7 | 15:29 | -14 | 11 |
| 20 სანდერლენდი | 26 | 4 | 7 | 15 | 17:38 | -21 | 19 | 13 | 3 | 2 | 8 | 8:17 | -9 | 11 | 13 | 1 | 5 | 7 | 9:21 | -12 | 8 |

**XXVII ტური**

8 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | — | ჩელსი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | ბოლტონი |
| ბლეკბერნი | — | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | — | ევერტონი |
| ფულემი | — | ასტონ ვილა |
| ლიდსი | — | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | — | მიდლსბრო |
| მანჩესტერი | — | მანჩესტერ სიტი |
| ნიუკასლი | — | არსენალი |
| ტოტენჰემი | — | სანდერლენდი |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 16 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 11 |
| რობი კინი (ტოტენჰემი) | 10 |
| კიუელი (ლიდსი) | 10 |
| ძოლა (ჩელსი) | 10 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 10 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XIX ტური

**არმინია 0:0 ბაიერნი**

არმინია: ჰაინი, რაუვე, რაინჰარდტი, ჰანსენი, კაუფი, დაბროვსკი, დამაიერი, ბრინკმანი, ვატა (ბოგდანოვიჩი 87), ჩა (ჰაინცი 67), დიაბანგი
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
ბაიერნი: კანი, კუფური, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი (ფიულნერი 74), ციკლერი, ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: დაბროვსკი, ვატა, იერემისი, ლინკე
მსაჯი: კემლინგი
26 601 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:0 ლევერკუზენი**

1:0 ევერტონი (3), 2:0 კოლერი (26)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ევანილსონი, დედე, შ. როიტერი (კელი 61), ფრინგსი, როსიცკი, ამოროზო (მადუნი 86), კოლერი, ევერტონი (რიკენი 71)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, რამელო, ჟუანი, პლასენტე, ბალიტში (ბაბიჩი 57), ოჯიგვე (ბრდარიჩი 84), ბ. შნაიდერი, ბაშთურქი, ნოივილი, ფრანცა (ბიროფკა 57)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ფრინგსი, ევანილსონი, ამოროზო, რამელო, პლასენტე
გაძევება: ბაშთურქი (6)
მსაჯი: ფროილიხი
67 600 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 ვერდერი**

1:0 ბარბარესი (55)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუჟფალუში, ჰოლერბახი, ბენჟამინი, მალტრიცი, კარდოზო (ვიკი 77), მაჰდავიკია, ბარბარესი, ტაკაჰარა (მეიერი 90)
მწვრთნელი: კურტ იარა
ვერდერი: ბორელი, სტალტერი (ბანოვიჩი 64), ვერლაატი, კრსტაიჩი, სკრიპნიკი, ტიკუზუ (ხარისტიასი 73), ფ. ერნსტი, ლისტეში (კლასნიჩი 85), მიკუ, აილტონი, დაუნი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, ბენჟამინი, ჰოოგმა, ტიკუზუ, მიკუ
მსაჯი: იანსენი
46 742 მაყურებელი

**შალკე 2:2 კაიზერსლაუტერნი**

1:0 აგალი (6), 1:1 კლოსი (31), 2:1 აგალი (70), 2:2 კოხი (90)
შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, კმეტჩი (ე. მპენზა 63), პოულსენი, გ. ვარელა (ვერმანტი 90), ბიომე, სანდი, აგალი
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ტ. კლოსი, ჰ. კოხი, კნავსი, ჩატო, ჰ. რამზი (მიფსუდი 81), გრამოცისი, ანფანგი (ბიელიცა 75), კლოზე, აჯიჩი, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ვან ჰოოგდალემი, კლოზე, გრამოცისი
მსაჯი: ვაინერი
60 672 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:1 ჰერტა**

1:0 ამანატიდისი (28), 2:0 გლები (69), 2:1 მარსელინიო (80), 3:1 განია (90)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, დანგელმაირი (რუნდიო 77), ბორდონი, ჰ. გერბერი, სოლდო, მეირა, გლები, ბალაკოვი (ტიფერტი 89), ამანატიდისი (განია 56), კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი, სიმუნიჩი, ჰარტმანი (ბაინლიხი 68), დარდაი, კარვანი (მლადენოვი 76), გოორი, მარსელინიო, ლუიზაო (პრეეცი 59), ალვეში
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: სიმუნიჩი, გოორი, დარდაი
მსაჯი: აუსტი
23 000 მაყურებელი

**მიუნხენი 0:1 ჰანოვერი**

0:1 კრუპნიკოვიჩი (27)
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, რაფაელი, როდრიგო კოშტა, ჰოფმანი, მაიერი (აგოსტინო 78), ბორიმიროვი (შრო 58), კურცი, ვაისენბერგერი (მაქსი 70), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, შულერი, ლალა, ხაიმე (კ. ლინკე 61), კრუპნიკოვიჩი (დე გუზმანი 83), ნკუფო (შტენდელი 68), იდრისუ, ბობიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: შტრანცლი, შროტი, კურცი, როდრიგო კოშტა, ხაიმე, ბობიჩი, ვინიციუსი, კრუპნიკოვიჩი, ლალა, ჩერუნდოლო
მსაჯი: კინჰოფერი
18 000 მაყურებელი

**კოტბუსი 2:1 ბოხუმი**

1:0 რეგეკამპფი (2), 2:0 იუსკოვიაკი (82), 2:1 გუდიონსონი (90)
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი, და სილვა, ბერჰალტერი, ლიოვი, რეგეკამპფი (იუნგნიკელი 85), ტ. როსტი, ლატუნდი, გებჰარდტი (კობილანსკი 89), ვაგნერი, ტოპიჩი (იუსკოვიაკი 76)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, კოლდინგი, კალა (ფაილი 68), ფარენჰორსტი, მაიხელბეკი, ოლისე, შინდცილორცი (გუდიონსონი 74), ფრაიერი, ვოში, ბაკლი (ჰაშემიანი 74), კრისტიანსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: გებჰარდტი, რეგეკამპფი, და სილვა, ტოპიჩი, კრისტიანსენი, კალა
მსაჯი: გაგელმანი
10 804 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:1 ჰანზა**

0:1 პრიკა (42)
ნიურნბერგი: კამპა, შტელე (პეტკოვიჩი 64), კოში, ნიკლი, ჰოპოვიჩი, ლარსენი, ჟუნიორი (ტოდოროვიჩი 82), იაროლიმი, ლ. მიულერი, ბელიჩი (კრჟინოვეკი 60), ს. ჩირიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, ჰილი, მაული, ადუბე, ებრანი, პერსონი, ლანსი, არვიდსონი (ჰირში 78), პრიკა (დი სალვო 89)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: კოში, ლარსენი, იაროლიმი, ჰილი, პერსონი, ვიმერი
მსაჯი: შტაინბორნი
17 400 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი — ვოლფსბურგი**

გადაიდო

# იარამ იარა, იარა

## კლაუსს სიცოცხლე წაართვეს, ოტმარს დგუშები




REUTERS

დორტმუნდი — ლევერკუზენი. კლაუს ტოპმიოლერის ისედაც შავად წასულ საქმეს კარსტენ რამელოს მეხუთე — სადისკვალიფიკაციო გაფრთხილებაც დაემატა

ილდირაი ბაშთურქი მე-6 წუთზე გააძევეს და ათკაციანი კლაუსელებიც ზამთრის არდადეგების მერე მეორედ დამარცხდნენ.

კლაუსი კი ტოპმიოლერის სახელი გახლავთ, რომლის ნაწრთობი გუნდი ამ წაგებით მე-14 ადგილიდან მაინც ვერ ჩაქვეითდა.

ხვალ „ლევერკუზენს" სათასო მატჩი ელის „უნტერჰახინგთან", რომელმაც ამ ორი სეზონის წინ ბაიერელებს ბუნდესსასალათე დააკარგვინა ბოლო ტურში, მაგრამ ეს ადრინდელი ამბავი კრისტოფ დაუმის ხანისაა.

კლაუსისა კი ახლაა. მომდევნო ბუნდესლიგური ჯახი „ლევერკუზენს" „ბოხუმთან" აქვს და გაძევებული ბაშთურქის გარდა სასიცოცხლო მნიშვნელობის ფეხბურთელ კარსტენ რამელოსაც მოისაკლისებს, რომელმაც მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო „ვესტფალენშტადიონზე".

თუმც რა, „ლევერკუზენი" ცოტა არ იყოს მოსაბეზრებელ თემად იქცა და ჩვენც სხვა გერმანულ ამბებზეც ვთქვათ.

მეორედან მესამე ადგილზე ბრემენის „ვერდერი" იმად დაცურდა, რომ თომას შააფის ტვინი კურტ იარისამ გადასწონა.

„ჰამბურგი" — „ვერდერის" თოვლიანი, ჩრდილოური დერბი ისე წარიმართა, რომ სტუმრები უფრო დიდხანს ფლობდნენ ბურთს და მეტსაც უტევდნენ. „მუსიკოსთაგან" საუკეთესო შანსი მარკუს დაუნს ჰქონდა და ოღენ ძელსგარტყმულ ბურთს გამორჩა.

თუმც ამ საქმეში ჰამბურგელმა ბერნდ ჰოლერბახმა უფრო იყოჩაღა — მან 30 მეტრიდან დააქუხა ხარიხას.

გამარჯვებისა კი სერგი ბარბარესმა გაიტანა — პენალტის ნიშნულის სიახლოვეს ბრემენელებმა სივრცე მოატიტვლეს და დაისაჯნენ კიდეც.

„დაცვაში ერთობ მყარად ვიდექით და მოთმინებით ველოდით წინ წასვლის სწორ მომენტს" — ბრძანა ნამატჩევს „ჰამბურგის" დამრიგებელმა იარამ.

თუ მწვრთნელის მარიფათზე მიდგა საქმე, ფელიქს მაგათიც უნდა ვახსენოთ. მისი „შტუტგარტი" უკვე კარგა ხანია, რაც ძალიან მობილური და შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუნხენის „ბაიერნის" შემდეგ „შტუტგარტი" იქნებ ტაქტიკურად ყველაზე გამართულიც კი იყოს ბუნდესლიგაში. ყოველ შემთხვევაში, მაგათის უნარი და ნიჭი სახეზეა — „შტუტგარტი" ზედა ეშელონის გუნდებიდან აშკარად გამოირჩევა — ამ გუნდს, ასე ვთქვათ, მწვრთნელი ათამაშებს.

სტუმრად ვერ მოიგო მიუნხენის „ბაიერნმა". ბავარიელებს მეჰმეთ შოლისა და მიხაელ ბალაკის გარდა ბოლო მომენტში ზე რობერტოც გამოეცალათ ხელიდან — ამ სამი დგუშის გარეშე ოტმარ ჰიცფელდის ძრავას ცხენის ძალები მოაკლდა. შედეგად, [illegible] „არმინიას" გამარჯვების [illegible] ნსი ჰქონდა, მაგრამ სენეგალელმა [illegible] მტევმა მამადუ დიაბანგმა გასატანი ვერ გაიტანა.

ისტორიული ფურცელი ჩაიწერა „ჰანოვერმა", რომელმაც პირველად მოუგო „მიუნხენ 1860"-ს. იუგოსლავიელმა ნებოისა კრუპნიკოვიჩმა მოხდენილად გაათამაშა ბურთი ფრედი ბობიჩთან და ბლეიზი ნკუფოსთან და მერე ცაციათი შეაგდო.

მატჩის მიწურულს „ცისფერმა ლომებმა" ნამდვილი შტურმი მოუწყვეს როლფ რანგნიკის ბიჭებს, მაგრამ ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს.

გასვლაზე მოიგო როსტოკის „ჰანზამაც". ნიურნბერგში შვედურმა დუეტმა იჩაუქა — მაგნუს არვიდსონმა სოლო რეიდი იკისრა და რადე პრიკა გოლგასატანი პასით დააპურა. შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე „ნიურნბერგი" კი საკბილოს ვერ გამორჩა.

**მე-20 ტური:** სალგეიროში — მაია 1:0; ამადორა — ლამაში 3:2; ფარენსე — ფელგეირაში 0:1; შავეში — პორტიმონენსე 0:4; ნავალი — პენაფიელი 2:1; ალვერკა — ლეცა 1:1; ავეში — მარკუ 1:0; კოვილია — რიუ ავე 1:2; ოვარენსე — მადეირა 1:0

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXIII ტური

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 როზენდალი**

1:0 რობენი (37), 2:0 კეჟმანი (53), 3:0 ბახოძიძე (79)

**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ჰაინცე, ბუმა, ფაბერი, ოიერი, რომედალი (ბახოძიძე 76), ფოგელი, ვან ბომელი (ლუსიუსი 87), რობენი, კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი

**ბრედა 1:1 ჰერენვენი**

0:1 ნურმელა (23), 1:1 ჩ. ფებერი (40)

**ალკმაარი 0:0 ნაიმეგენი**

**ფეიენოორდი 4:2 ტვენტე**

1:0 კალუ (10), 1:1 კავენსი (40), 2:1 კალუ (66), 3:1 ბუფელი (70), 3:2 ზიომერი (72), 4:2 ვან პერსი (88)

**ვალვაიკი 1:0 გრონინგენი**

1:0 იანსენი (69)

**ტილბურგი 0:6 აიაქსი**

0:1 ვან დერ მეიდე (8), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (13), 0:3 კოვუ (29პ), 0:4 გალაშეკი (46), 0:5 იბრაჰიმოვიჩი (67), 0:6 მიდო (78)

**გრააფსხაპი — უტრეხტი**

გადაიდო

**ექსელსიორი — როდა**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 18 | 14 | 3 | 1 | 45:10 | 45 |
| აიაქსი | 18 | 13 | 4 | 1 | 50:18 | 43 |
| ფეიენოორდი | 18 | 11 | 3 | 4 | 44:22 | 36 |
| ვალვაიკი | 18 | 8 | 4 | 6 | 20:23 | 28 |
| ბრედა | 17 | 6 | 9 | 2 | 23:13 | 27 |
| როდა | 17 | 7 | 5 | 5 | 30:26 | 26 |
| ტილბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:29 | 25 |
| უტრეხტი | 17 | 6 | 6 | 5 | 23:21 | 24 |
| ნაიმეგენი | 18 | 6 | 6 | 6 | 22:26 | 24 |
| ტვენტე | 18 | 5 | 7 | 6 | 23:28 | 22 |
| ჰერენვენი | 18 | 5 | 6 | 7 | 25:30 | 21 |
| ალკმაარი | 17 | 6 | 3 | 8 | 27:40 | 21 |
| ექსელსიორი | 18 | 4 | 7 | 7 | 21:30 | 19 |
| ვიტესი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:20 | 16 |
| როზენდალი | 18 | 4 | 4 | 10 | 20:32 | 16 |
| გრონინგენი | 18 | 3 | 4 | 11 | 16:29 | 13 |
| ზვოლე | 17 | 3 | 4 | 10 | 16:30 | 13 |
| გრააფსხაპი | 16 | 3 | 3 | 10 | 17:38 | 12 |

#### II დივიზიონი

**მე-18 ტური:** *დორდრეხტი — მაასტრიხტი, ვოლენდამი — ჰელმონდი, იგლსი — ოსი, ჰაარლემი — ჰერაკლესი, სპარტა — ემენი, ვეენდამი — კამბური, ვენლო — ტელსტარი, ეინდჰოვენი — სიტარდი და დენ ბოსხი — დენ ჰააგი გადაიდო*

## ამხანაგური მატჩი

**ჰონდურასი 1:3 არგენტინა**

1:0 ს. მარტინესი (7), 1:1 დ. მილიტო (15), 1:2 ლ. გონსალესი (52), 1:3 მ. გონსალესი (58)

**არგენტინა:** საბა, ბურდისო, ა. გარსე, გ. მილიტო, ლ. გონსალესი, პორნციო (ბატალია 46), გინაზუ, დალესანდრო, მ. გონსალესი (კ. როდრიგესი 78), დ. მილიტო (კარინანო 87), ინსუა (გ. როდრიგესი 80)

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

### საბერძნეთი

**მე-17 ტური:** ირაკლისი — პანაჰაიკი 1:1; პანიონიოსი — არისი 1:0; ეგალეო — იონიკოსი 0:0; იანინა — აეკ 0:2; პრუდეფტიკი — პანათინაიკოსი 0:2; აკრატიტოსი — კალითეა 3:3; ოლიმპიაკოსი — ოფი 1:0; პაოკ — ქსანთი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 17 | 12 | 2 | 3 | 24:11 | 38 |
| ოლიმპიაკოსი | 17 | 10 | 6 | 1 | 39:10 | 36 |
| პაოკ | 17 | 10 | 3 | 4 | 37:20 | 33 |
| აეკ | 17 | 9 | 5 | 3 | 34:15 | 32 |
| პანიონიოსი | 17 | 9 | 4 | 4 | 20:12 | 31 |
| არისი | 17 | 7 | 5 | 5 | 18:19 | 26 |
| ირაკლისი | 17 | 7 | 4 | 6 | 22:17 | 25 |
| ქსანთი | 17 | 5 | 8 | 4 | 19:14 | 23 |
| პრუდეფტიკი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:17 | 21 |
| ოფი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:18 | 21 |
| ეგალეო | 17 | 4 | 8 | 5 | 13:20 | 20 |
| კალითეა | 17 | 3 | 6 | 8 | 16:24 | 15 |
| იანინა | 17 | 3 | 5 | 9 | 14:23 | 14 |
| აკრატიტოსი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:34 | 13 |
| იონიკოსი | 17 | 2 | 6 | 9 | 9:26 | 12 |
| პანაჰაიკი | 17 | 1 | 5 | 11 | 7:39 | 8 |

### ბელგია

**დიდთოვლობის გამო ორივე დივიზიონში ტურები გადაიდო**


Zeus
Billijardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია
ტ:95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46



# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ცქიტიშვილმა ყველაზე კარგთან ყველაზე კარგად ითამაშა



ნიკა ცქიტიშვილმა „დალასს" 15 ქულა ჩაუგდო



ეს პატარა ზანგი, ნიკ ვან ექსელი პატარა არ გეგონოთ, 185 სანტიმეტრიაა, ეგაა, 228-სანტიმეტრიან შონ ბრედლის გვერდით ჩიად მოსჩანს

— 31 იანვარი —

**ფილადელფია 104:89 მაიამი**

**ფილადელფია:** სნოუ (21), აივერსონი (25), მაკკი (8), ვან ჰორნი (33), სკინერი (12); კოულმენი (4), სალმონსი (1), რენ-ციასი, სატერფილდი, მაკალოფი
**მაიამი:** ბესტი (11), ჯონსი (22), კ. ბატლერი (18), ალენი (14), გრანტი (12); ელისი (7), პაუსი (7), კარტერი (6), სტეფანია (13 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა), რ. ბატლერი, ჯეიმსი

— 1 თებერვალი —

**მაიამი 65:67 სან ანტონიო**

**მაიამი:** ბესტი (6), ჯონსი (17), კ. ბატლერი (12), ალენი (6), გრანტი (10 ქულა, 11 მოხსნა); ჯეიმსი (6), ელისი (6), სტეფანია (28 წუთი, 2 ქულა, 14 მოხსნა, 2 ჩაჭრა), რ. ბატლერი, მარქსი, პაუსი
**სან ანტონიო:** პარკერი (18), ჯექსონი (8), ბოუენი (4), დანკანი (17 ქულა, 25 მოხსნა, 5 დაფარება), რობინსონი (3); როუზი (11), ჯინობილი (3), ფერი (3), კერი, ვილისი

— 1 თებერვალი —

**დალასი 122:100 დენვერი**

**დალასი:** ნეში, ფინლი (22), გრიფინი (3), ნოვიცკი (20), ლაფრენცი (10); ვან ექსელი (30), ბრედლი (12), უილიამსი (11), რიგოდო (5), ჯონსონი (5), ჯონსი (4)
**დენვერი:** ჰარინგტონი (4), იარბრო (4), ჰარვი (13), ჰოვარდი (14), ილარიო (7); ვაიტი (17), ცქიტიშვილი (26 წუთი, 15 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი), ვიტნი (11), ბლუნტი (10), ანდერსენი (5)

— 2 თებერვალი —

**დენვერი 93:78 მემფისი**

**დენვერი:** ჰარინგტონი (8), იარბრო (8), ჰარვი (4), ჰოვარდი (26 ქულა, 13 მოხსნა), ილარიო (8); ვიტნი (15), ვაიტი (8), ბლუნტი (6), ბოუენი (4), ანდერსენი (4), ცქიტიშვილი (10 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა)
**მემფისი:** უილიამსი (8), გირიჩეკი (10), ბეტიე (2), გასოლი (13 ქულა, 11 მოხსნა), რაიტი (8); გუდენი (16), უოტსონი (8), ბატისტი (8), პერსონი (5), ტრიპანსკი

ოკეანსიქითა ამბები ნიკა ცქიტიშვილის რეკორდით დავიწყოთ. „დენვერის" ქართველმა ფორვარდმა ამ შაბათს „დალასს" 15 ქულა ჩაუგდო და ერთდროულად სეზონისა და პირადი კარიერის რეკორდი დაამყარა.

სამ თვეზე ოდნავ მეტია, რაც ნიკა ნბა-ში ბურთაობს. ამ ხანში მას 46 თამაშში მიუღია მონაწილეობა და 3-ჯერ დაუგროვებია 10 და მეტი ქულა. უწინდელი რეკორდი, 12 ქულა, ცქიტიშვილმა 27 დეკემბერს „ლეიკერსთან" დაამყარა, ახლა კი „დალასთან" მას 3 ქულით მეტი მოუგროვდა.

ცქიტიშვილი იმ დღეს ფიცარნაგზე საკმაოდ თავისუფლად გრძნობდა თავს. თუმც „დალასი" სადღეისო შედეგებით ლიგის საუკეთესო გუნდია, არ ქბუღა დაცვით. ამიტომაც ჭაბუკმა ქართველმა შეტევაში გაილაღა და ყველა დისტანციიდან მოიხვეჭა ქულები — 4 სამქულიანიდან მან 2 ჩააგდო, 5 ორქულიანიდან 3 ზუსტად ისროლა და 4 საჯარიმოდანაც 3 გამოიყენა. ალბათ მოვა დრო, „ცქიტოსთვის" ერთ თამაშში 15 ქულა ყოველდღიური ამბავი იქნება, მისი გუნდის შეფები ქართველისგან მეტსაც ელიან, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან გამოუცდელი ქართველისგან 15 ქულა ურიგო შედეგი არაა. სხვა სიტუაციაში „დენვერის" მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი ქართველს გარჯას არ დაუკარგავდა და სახალხოდ შეაქებდა, თუმც იგი ამჯერად მოერიდა რომელიმე თავისიანზე და მათ შორის ცქიტიშვილზე დადებითის თქმას. ეს ბუნებრივიცაა, მისმა გაწვრთნილებმა ხომ 22 ქულის სხვაობით წააგეს.

სამაგიეროდ, „დენვერმა" მეორე დღეს, „მემფისთან" შეხვედრაში იმარჯვა და ამ გამარჯვებამ სულზე მოუსწრო — კოლორადოელებს მანამდე ზედიზედ შვიდი თამაში წაეგოთ. ამ ჯერზე ცქიტიშვილმა 2 ქულა მიახმარა თავისიანებს. გამარჯვებაში კი ლომის წილი „დენვერის" ორმა ლიდერმა და ვეტერანმა დაიდო — ჯუონ ჰოვარდმა და კრის ვიტნიმ.

შთაბეჭდილებებითა და თამაშებით დატვირთული უქმეები ჰქონდა მეორე ნბა-ელ ქართველს, ვოვა სტეფანიასაც — მისმა „მაიამიმ" ორი ზედაძაული თამაში წააგო. თავად ჩვენებურმა ცენტრმა ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, „სან ანტონიოსთან" ჯახში 14 მოხსნით გამოიჩინა თავი, თუკი საერთოდ შეიძლება წაგებულ შეხვედრაში თავგამოჩენაზე ლაპარაკი.

ისე კი, სადაც სტეფანიასი ვთქვით, იქ ტიმ დანკანისაც არ დაგვავიწყდეს. „სან ანტონიო სპურზის" 213-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელ-ცენტრმა 25 აცილებული ბურთი ჩამოხსნა ფარიდან, რაც სეზონის საყოველთაო რეკორდია. ამ 25-დან ტიმმა 23 საკუთარ ფარზე მოხსნა, რითაც ერთით აღემატა ოლინდელ შიდასაკლუბო რეკორდს, დაცვაში მოხსნილ 22 ბურთს. ეს ძველი რეკორდი ამ 9 წლის წინ დაუმყარებია ყოჩაღ კალათბურთელს, მაგრამ შეშლილ ადამიანს, დენის როდმანს.

ისე, ეს მატჩი სანახავად დიდი ვერაფერი გამოდგა, „მაიამი" ხომ ულაზათო ბურთაობითაა ცნობილი. მაიამელებმა უამრავი შეტევა გააფუჭეს და ამ მხრივ ვოვა სტეფანიამ ყველას გადააჭარბა — 12 სროლიდან 11 ააცილა. არც მისი თანაგუნდელები დაიკვეხნიან გამართული მიზნით. სწორედ მაიამელთა უთავბოლო და ფუჭ სროლებს ხსნიდა დანკანი. ამიტომაც ეს შეხვედრა ნბა-ს პარამეტრებით ერთობ დაბალი ანგარიშით დასრულდა. 132 ჯამური ქულა მე-9 უდაბლესი მაჩვენებელია ნბა-ს ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში. „ასეთი თამაშები ჩვენს ლიგას ბარე 10 წლით უკან ხევს" — თქვა სანანტონიოელმა ფორვარდმა მალიქ როუზმა.

მაიამელებმა წინა დღეს „ფილადელფიასთან" უკეთ გამართეს შეტევა, მაგრამ არც მაშინ გაუმართლათ. მეტოქეთა ლიდერმა ალენ აივერსონმა თავის უთვალავ მიკროტრავმათაგან ერთ-ერთი, მარჯვენა მუხლისა გაიმიზეზა და „მაიამისთან" შეზღუდულად ირჯებოდა. სამაგიეროდ, თავი გამოიჩინეს სხვებმა — კიტ ვან ჰორნმა 33 ქულა მიითვალა, ხოლო ერიკ სნოუმ 21 გაახერხა. განსაკუთრებული განსჯის საგნად იქცა ვან ჰორნის კარგი თამაში, ვინაიდან ეს ბოლო ორი-სამი წელია, ამ ცივსისხლა თეთრკანიანს საერთოდ დაუკარგავს საკალათბურთო მუხტი და ამიტომაც „ნიუ ჯერსიმ" „ფილადელფიაში" გამოცვალა. „ფაქტობრივად კიტმა გადაგვარჩინა ბრწყინვალე თამაშებს, ამდენად მისგან 33 ქულა თითქმის სენსაციაა" — თქვა მისმა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა.

**ირაკლი ფირცხვილი**

— 31 იანვარი —

**საკრამენტო 113:124 ლეიკერსი**
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (36)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (38), ონილი (36 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

**ორლანდო 108:109 სან ანტონიო**
**ორლანდო:** მაკგრეიდი (35)
**სან ანტონიო:** დანკანი (23 ქულა, 17 მოხსნა), პარკერი (20), რობინსონი (20)

**ჰიუსტონი 121:101 მინესოტა**
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (27)
**ორლანდო:** ჰადსონი (23)

**პორტლენდი 107:94 ჩიკაგო**
**პორტლენდი:** ვოლესი (28)
**ჩიკაგო:** ფიზერი (17)

**ტორონტო 102:90 ინდიანა**
**ტორონტო:** დევისი (20)
**ინდიანა:** ბ. მილერი (20)

**კლიპერსი 92:98 ფინიქსი**
**კლიპერსი:** რუქსი (16)
**ფინიქსი:** მარბერი (19)

**იუტა 102:94 გოლდენ სტეიტი**
**იუტა:** მელოუნი (26 ქულა, 11 მოხსნა)
**გოლდენ სტეიტი:** მერფი (18)

**მემფისი 102:108 ნიუ იორკი**
**მემფისი:** გასოლი (32)
**ნიუ იორკი:** ეისლი (30)

**ნიუ ჯერსი 89:72 ნიუ ორლეანი**
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (23)
**ნიუ ორლეანი:** მაშბერნი (17)

**ატლანტა 96:91 კლივლენდი**
**ატლანტა:** რობინსონი (20)
**კლივლენდი:** ილგაუსკასი (21)

**მილუოკი 107:100 ნიუ იორკი**
**მილუოკი:** კასელი (24)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (31)

**სიეტლი 90:77 ჩიკაგო**
**სიეტლი:** ლუისი (23)
**ჩიკაგო:** როუზი (23)

— 1 თებერვალი —

**ლეიკერსი 99:87 იუტა**
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (42)
**იუტა:** მელოუნი (26)

**ფინიქსი 116:107 გოლდენ სტეიტი**
**ფინიქსი:** მარბერი (32)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (26)

**დეტროიტი 106:84 ნიუ ჯერსი**
**დეტროიტი:** ბილაფსი (27)
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (29)

**ინდიანა 109:100 ბოსტონი**
**ინდიანა:** ონილი (33)
**ბოსტონი:** პირსი (29 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი 109:104 ნიუ ორლეანი**
**ვაშინგტონი:** ჯორდანი (45)
**ნიუ ორლეანი:** მაშბერნი (39)

— 2 თებერვალი —

**ჰიუსტონი 105:89 საკრამენტო**
**ჰიუსტონი:** გრიფინი (22), მინგი (18)
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (31)

**მინესოტა 99:91 ფილადელფია**
**მინესოტა:** გარნეტი (30 ქულა, 17 მოხსნა)
**ფილადელფია:** აივერსონი (21)

**ატლანტა 97:89 ორლანდო**
**ატლანტა:** აბდულ-რაჰიმი (23)
**ორლანდო:** მაკგრეიდი (38)

**კლივლენდი 95:114 პორტლენდი**
**კლივლენდი:** ილგაუსკასი (20)
**პორტლენდი:** ვოლესი (29)

**ტორონტო 100:86 კლიპერსი**
**ტორონტო:** ლენარდი (30)
**კლიპერსი:** მეჯიტი (19)

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 32 | 15 | 68,1 |
| ბოსტონი | 26 | 21 | 55,3 |
| ფილადელფია | 25 | 23 | 52,1 |
| ორლანდო | 24 | 25 | 49,0 |
| ვაშინგტონი | 23 | 25 | 47,9 |
| ნიუ იორკი | 20 | 26 | 43,5 |
| მაიამი | 16 | 31 | 34,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 34 | 14 | 70,8 |
| დეტროიტი | 31 | 15 | 67,4 |
| მილუოკი | 24 | 22 | 52,2 |
| ნიუ ორლეანი | 24 | 24 | 50,0 |
| ატლანტა | 19 | 29 | 39,6 |
| ჩიკაგო | 17 | 30 | 36,2 |
| ტორონტო | 13 | 34 | 28,3 |
| კლივლენდი | 9 | 39 | 18,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 37 | 9 | 80,4 |
| სან ანტონიო | 31 | 16 | 66,0 |
| იუტა | 28 | 19 | 59,6 |
| მინესოტა | 28 | 20 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 26 | 20 | 56,5 |
| მემფისი | 13 | 33 | 28,3 |
| დენვერი | 11 | 36 | 23,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 33 | 16 | 67,3 |
| პორტლენდი | 30 | 16 | 65,2 |
| ფინიქსი | 28 | 21 | 57,1 |
| ლეიკერსი | 22 | 23 | 48,9 |
| სიეტლი | 21 | 24 | 46,7 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 26 | 43,5 |
| კლიპერსი | 17 | 30 | 36,2 |

# ბოსტონი ბითუმად გაბითურდა

— 31 იანვარი —

**ბოსტონი 66:118 დეტროიტი**

**ბოსტონი:** ბრემერი (10), პირსი (23), ე. უილიამსი (9), უოლკერი (6), ბათი (4); შ. უილიამსი (5), ბრაუნი (5), დელკი (5), მაკკარტი, ბეიკერი, ლონგი, სანდოვი
**დეტროიტი:** ბილაფსი (24), ჰამილტონი (29), კარი (3), ვოლესი (8 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (3); უილიამსონი (13), ოქური (11), პრინსი (11), ბერი (8), დევისი (5), ეტკინსი (3), სანჩესი

ამ უქმეებზე ნბა-ში არაერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა, მაგალითად, ტრავმებმოძალებულმა „საკრამენტომ" წყვილად წააგო; ამ სეზონის უპირველესმა მექულემ ტრეისი მაკგრეიდიმ ზედიზედ მეშვიდე მატჩში დაძლია 30-ქულიანი თამასა (მისმა „ორლანდომ" კი მაინც წააგო), ხოლო ბებერმა მაიკლ ჯორდანმა „ნიუ ორლეანთან" 45 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ ჩვენ ერთ მატჩზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას — იმ შეხვედრაში ბოსტონში ადგილობრივი ყოჩი „სელტიქსი" „დეტროიტ პისტონზმა" ისტორიული მასშტაბით გააბითურა.

„ბოსტონ სელტიქსს" ჰქონია ჩავარდნები, ჟამთა და თაობათა ცვლას ის ცხრილის ფსკერზეც დაულექავს, მაგრამ ამ ამაყ და ტიტულიან გუნდს შინ, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ასე სამარცხვინოდ არასდროს წაუგია — დეტროიტელებმა წლეულს არცთუ უამბიციო „კელტები" 52-ქულიანი წაგებით შეარცხვინეს. ბოსტონელები თავს ვერ იმართლებენ ლიდერ პოლ პირსის მესამე მეოთხედში გავარდნით. „სელტიქსის" ყოჩი საკუთარი უილაჯობის ამონთხევამ იმსხვერპლა.

ბოსტონელები იმდენად სამარცხვინოდ ბურთაობდნენ, რომ ერთხანს მეტოქეს ქულებში ორმაგად ჩამორჩნენ — ბოლო მეოთხედის მე-10 წუთზე „დეტროიტი" 118:58 აგებდა. ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირებულა მეტქულიანი გამარჯვება სტუმრად. 1986 წლის 6 დეკემბერს „სიეტლმა" ჰიუსტონში გაისეირნა და იქაურ „როკიტს" 56-ქულიანი მარცხი აძგერა — 136:80.



ორი შერცხვენილი ბოსტონელი — ანტუან უოლკერი და პოლ პირსი

### საქართველოს თასი 2003 რუსთავი. 3-7 თებერვალი

# რუსთავი ზანგების ქალაქია

## იქ ისე ცხელა, კამერუნელს თავი შინ ეგონა

**დინამო 119:60 სსუ**
**სტუ 88:74 თსუ**
**აზოტი 110:60 აკადემია**

რაოდენობა ხარისხს არ განსაზღვრავს, მაგრამ მრავალტურნირიანობა მაინც უთუოდ სასიკეთოდ წაადგება სისხლნაკლულ ქართულ კალათბურთს. ამ სეზონამდე ჩვენში მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატი ტარდებოდა, ამიერიდან მასთან ერთად ლუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირის გარდა საქართველოს თასიც გათამაშდება.

პირველი თასის გათამაშების მასპინძლობის პატივი რუსთავს ერგო. ქვემოქართლელებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ, თავი არ შეირცხვინონ და ამაში „აზოტის" ახლახან გაკოპწიავებული, დამთბარი დარბაზი ეხმარებათ. გარკვეულწილად ალბათ ამანაც გადააწყვეტინა ტურნირის ორგანიზატორ კალათბურთის ფედერაციას თასის მეტალურგთა ქალაქში გათამაშება. „ქიმიკოსთა" დარბაზში გუშინ დილიდან, რომ იტყვიან, საკალათბურთო ამინდი იდგა.

ამინდი ამინდად, მაგრამ გახსნის მატჩი ვერ გამოდგა გულმოდგინედ საცქერი. A ჯგუფის მკვიდრნი, თბილისის „დინამო" და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი აშკარად განსხვავებული კლასისანი არიან და ანგარიშშიც შესაბამისად დიდი სხვაობა დაფიქსირდა. ეს შეხვედრა იმით უფრო იყო საინტერესო, თუ რა ფორმაშია ჩემპიონატის ლიდერი „დინამო", მას ხომ შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, აქამდე „სტუ-ჯეოსელში" მობურთალი ირაკლი ხოშტარია გამოუკანმრთელდა. მაგრამ სოხუმელები არც ამ საქმისთვის გამოდგნენ. ისინი ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ თბილისელებს და საბოლოოდ 59 ქულით დამარცხდნენ. ლევან მოსეშვილმა ყველა დინამოელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და ყველაზე უკეთ ეს მამუკა აბრამიძემ მიახერხა, რომელმაც 16 ქულა გააკეთა. მოწინავე იყო ნაბოტკინარი ირაკლი ხოშტარიაც, ის ისეთივე სხარტია, როგორც უწინ, ეგაა, თამაშის პრაქტიკა აკლია და სამიზნის გასწორება მართებს.

თამაშს თანაბარი მხოლოდ საწყის ხუთ წუთში თუ ეთქმოდა. ირაკლი სორდიასა და ბეჟან ქვილითაიას ქულებით სოხუმელები თბილისელებს ერთი ხანი გვერდიგვერდ მისდევდნენ, თუმც უკანასკნელთა ყოჩაღობით „დინამომ" მალევე მოიპოვა ორციფრიანი ლიდერობა და დარჩენილ დროში განუხრელად ზრდიდა სხვაობას. პირველი და მეორე მეოთხედი თბილისელებმა ერთნაირი ანგარიშით — 31:15 მოიგეს, რითაც მეორე ტაიმს აზრი დაუკარგეს.

A ჯგუფისა იყო მეორე მატჩიც, თსუ სტუ-ს ხვდებოდა. სტუდენტური დერბი ეროვნულ ჩემპიონატში ყოველთვის გამოირჩეოდა დაძაბულობით და გამონაკლისი არც საითასო შეხვედრა გამოდგა. თსუ, ცხადია, არ აპირებდა ლათმობას, მაგრამ ტექნიკოსთა აზრიანმა და სწრაფმა თამაშმა ლევან წულაძის გუნდს მატჩის დამთავრებამდე საძიოდ წუთით ადრე დააყრევინა ფარ-ხმალი. არადა, პირველი ტაიმის შემხედვარე ამას ვერავინ იფიქრებდა, გუნდები ქულებს მორიგეობით იხვეჭდნენ, ლიდერიც წამდაუწუმ იცვლებოდა. რაკი ფარქვეშ ფეხი ვერ მოიკიდეს, მეტოქენი კონტრშეტევებში ეძებდნენ ხეირს, რაც ორივე გუნდს თანაბრად კარგად გამოსდიოდა. მაისურაძესთან და ტურაშვილთან ერთად, ორმოცაძეც ხშირად უტევდა სტუ-ელთა ფარს შორიდან და არცთუ უნაყოფოდ.

დიდი შესვენების მერე თსუ-ელთა მონასტერი აერიათ. მათ მიზანი გაუმრუდდათ და როცა ფარის დაპყრობა განიზრახეს, სტუ-ელი ქოლივეტ ტუჯანის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ეს თმაჯაგარა კამერუნელი ზორბა სხეულით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ კუნთები ბატიბუტივით აყრია და ზამბარასავით ხტის. ამასთან, იგი ძალიან სწრაფია და თსუ-ელთა ფარქვეშ იოლად გაბატონდა. ტუჯანიმ და ოთიურიძემ სუსტი წერტილი უპოვეს თსუ-ს დაცვას, რაც ანგარიშში უმალ აისახა — სტუ 70:56 დაწინაურდა.

ბოლოს მეოთხედში სახელმწიფო უნივერსიტეტელები ეცადნენ, მაგრამ ტექნიკოსებს ოთხ ქულაზე ახლოს ველარ მიუახლოვდნენ. ისევ ტუჯანიმ ისახელა თავი, მაყურებელი ერთი-ორი ლამაზი ჩატენვით აახმაურა და „სტუ-ჯეოსელს" გამარჯვება მიუთვალა.

B ჯგუფისა და დღის ბოლო შეხვედრა მოლოდინისამებრ დასრულდა — ჯაფარიძე-ყლენტით გაძლიერებულმა „აზოტმა" რუსთაველთა ყიჟინა-ქომაგობის თანხლებით იოლად სძლია ახალგაზრდულ „აკადემიას" — 110:60.

**ირაკლი ბერტაია რუსთავიდან**



ქოლივეტ ტუჯანი ამროსი ორმოცაძეს იფარა



Andebol Portugal 2003

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები

პორტუგალია. 20 იანვარი - 2 თებერვალი



REUTERS

# ესენი ძალიან მაგრები არიან!

## ხორვატია ის ქვეყანაა, რომელმაც დროდადრო მსოფლიო აუცილებლად უნდა გააოცოს

**ნახევარფინალი**

**გერმანია 23:22 საფრანგეთი**

**ხორვატია 39:37 დდ (31:31, 26:26) ესპანეთი**

**მესამე ადგილისთვის**

**საფრანგეთი 27:22 ესპანეთი**

**ფინალი**

**ხორვატია 34:31 გერმანია**

**ხორვატია:** სოლა, ძომბა (გაიტანა 8 გოლი), სულიჩი (4), ბალიჩი (4), ლაცკოვიჩი (4), მეტლიჩიჩი (4), გოლუზა (3), იოვიჩი (3), კალები (2), დომინიკოვიჩი (1), ვალჩიჩი (1), მოტოშევიჩი, ზინიჩი, სპოლიარიჩი
**მწვრთნელი:** ლინო ცერვარი
**გერმანია:** ფრიცი, ბაური (8), კერმანი (7), ჰენსი (5), შვარცერი (3), როსი (2), ზეიცი (2), გრიმი (2), დრაგუნსკი (1), იმელი (1), პეტერსენი, ვებერი, ცერბე, რამოტა
**მწვრთნელი:** ჰაინერ ბრანდი

ვერა და ვერ მოახერხეს გერმანელმა ხელბურთელებმა თავიანთი 25 წლის წინანდელი ტრიუმფის გამეორება. ის კი არა, 1978 წელს დანიაში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ დღემდე საპრიზო სამეულშიც ველარ შეაღწიათ.

ამჯერად, პორტუგალიაში, ექსჩემპიონთა მანქანა ყოველმხრივ გამართულად მოქმედებდა — წინასწარი ორი ჯგუფური ეტაპის შვიდი მატჩიდან გერმანელებმა ექვსი მოიგეს, ერთში კი ფრეს დასჯერდნენ. ნახევარფინალში მათ მრისხანე მეტოქე ჰყავდათ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ საფრანგეთის სახით. თამაში მეტად მძიმე და დრამატული გამოდგა. უპირატესობა თავიდანვე გერმანელებმა იგდეს ხელთ და ძირითადად პასკალ ჰენსის ზუსტი ტყორცნებისა და მეკარე ჰენინგ ფრიცის საიმედო თამაშის წყალობით საგრძნობ სხვაობასაც მიაღწიეს — 11:7, მაგრამ ჩემპიონებმა შესვენებამდე შეძლეს ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება — 10:11.

მეორე ტაიმის დასაწყისი ფრანგებისა იყო, ახლა ისინი გავიდნენ ოთხი ბურთით წინ — 16:12, მაგრამ მოკლე ხანში მეტოქემ კვლავ შეძლო თამაშის სადავეების ხელში აღება — 18:17 და ბოლომდე აღარც ლაუთმია.

ბევრის აზრით, ორგზის ჩემპიონ ფრანგთა მორევით ფრთაშესხმულ გერმანელ ხელბურთელებს მეორე დღეს საჩემპიონო მატჩში არ უნდა გასჭირვებოდათ ფინალში რის ვაივაგლახით გაღწეულ ხორვატთა ძლევა. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა ექსიუგოსლავიელებმა ხომ მხოლოდ ორი მომქანცველი, დამატებითი ათწუთიანი პერიოდის ბოლოსღა ძლივს აჯობეს მუდამ უპოდიუმო ესპანელებს. არადა, თავიდან ესპანელებმა ყოჩაღად დაიწყეს — 6:2. ხორვატებმა ვერაფერი მოუხერხეს მეტოქის გიგანტ მცველ ხუან პერესს და მის მკვირცხლ თანაგუნდელებს და ტაიმი ხუთბურთიანი სხვაობით დათმეს — 9:14. ფინალისტის ვინაობაც თითქმის გარკვეული ჩანდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ხორვატებმა ფანტასტიკური ნახევარსაათიანი პერიოდი ჩაატარეს, შუა ტაიმში ანგარიშის გათანაბრება შეძლეს — 20:20, მერე კი წინაც გავიდნენ და ბოლომდე ინარჩუნებდნენ ლიდერობას, მაგრამ საფინალო სასტვენის წინ იკერ რომეროს ზუსტმა ტყორცნამ თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. პირველ დამატებით ათწუთეულში უკვე ესპანელები გაიჭრნენ წინ და მხოლოდ ბოლოს გაათანაბრეს ხორვატებმა, ხოლო მეოთხე ტაიმში გადამწყვეტ უპირატესობასაც მიაღწიეს.

წინა დღეს ასეთ მარათონში სიქაგაცლილ ხორვატებს კვირას ფინალურ შეხვედრაში დაღლისა არაფერი ეტყობოდათ. ლისაბონის „ატლანტიკ პავილიონის" გადაჭედილ დარბაზში უმაღლესი დონის ლამაზი, სწრაფი და ძალისმიერი ხელბურთი იყო სადღეისოდ მართლაც მსოფლიოს საუკეთესო გუნდების შესრულებით. ორივე მხარემ არაერთი შესანიშნავი კომბინაცია განახორციელა და მოგებაც ორივეს შეეძლო. თამაშში უამრავი გოლი (65) გავიდა, თითქოს მოწინააღმდეგეებმა დაცვაში სიფრთხილე დაივიწყესო. თავიდან კარგა ხანს ანგარიში თანაბრად იზრდებოდა, გერმანელთა ლიდერების — ჰენსის, ფლორიან კერმანისა და მარკუს ბაურის ზუსტ ტყორცნებს ხორვატთა მთავარმეგოლე მირზა ძომბა და ივანო ბალიჩი იგივეთი პასუხობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეკარე ვლადო სოლა, რომლის ბრწყინვალე რეაქციამაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მის თანაგუნდელებს არა მხოლოდ ტაიმი (20:18), მთელი მატჩიც მოაგებინა.

შესვენების შემდეგ გადამწყვეტ შტურმზე გადასულ გერმანელებს ორჯერ მიეცათ გამარჯვების შანსი: ჯერ იყო და შეძლეს გარდატეხის შეტანა და დაწინაურდნენ — 24:23, მაგრამ უპირატესობის გაღვივება ვერ მოახერხეს და მალე ოთხი ბურთით ჩამორჩნენ — 25:29, მაგრამ ასეთ კრიტიკულ ვითარებაშიც ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ისევ გაიბრძოლეს, ძირითადად ისევ ბაურის და კერმანის გოლებით მომდევნო შვიდწუთიანი მონაკვეთი „მშრალად" (4:0) მოიგეს და ანგარიშიც გაათანაბრეს — 29:29. ახლა უკვე ხორვატები აღმოჩნდნენ მძიმე დღეში, თუმცა თამაშზე კონტროლი არ დაუკარგავთ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბოჟიდარ იოვიჩი და ბლაჟენ ლაცკოვიჩი, რომლებიც დაცვაში უშეცდომოდ მოქმედებდნენ, ხოლო შეტევისას ზუსტი პასებით ამარაგებდნენ ძომბას, კარში კი კვლავ ბრწყინავდა სოლა. შედეგად მეტოქის მორიგ სპურტს გერმანელებმა ველარაფერი დაუპირისპირეს და ხორვატებს თავიანთმა დახვეწილმა სათამაშო სტილმა მაყურებელთა გული და, რაც უმთავრესია, პირველად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოაგებინა.

ტრიუმფატორთა მწვრთნელი ლინო ცერვარი, ცხადია, მეცხრე ცაზე იყო: „ეს სასწაულებრივი გამარჯვება, რომელსაც არავინ ელოდა, გუნდურმა შრომამ და ჩვენი ეროვნული ლიგის მოთამაშეთა თავდადებამ მოგვიტანა. ამ წარმატებას დღევანდელი თაობის ხელბურთელთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ატლანტის შემდეგ შვიდი წელი ვერაფერი მოგვეგო. საწყენად ისლა მრჩება, რომ პორტუგალიაში ერთი მატჩი მაინც წავაგეთ არგენტინასთან."

ფრანგებმა ადვილად მოუგეს სამესამეადგილო თამაში ძალაგალეულ ესპანელებს, მეხუთეზე კი ოლიმპიური ჩემპიონები, რუსები გავიდნენ, რომლებმაც ჯერ როლანდ ერაძის ისლანდია დაამარცხეს (30:27), ბოლოს კი უნგრეთი (30:25). ისლანდიელებმა თავის მხრივ მეტად პრინციპული გამარჯვება მოიპოვეს იუგოსლავიასთან (32:27) მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლაში და 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურიც გაინაღდეს. დაზუსტებული მონაცემებით, სწორედ შვიდეული იძლეოდა გაისად ათენის ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლებას შესარჩევ ტურნირში წვალების გარეშე.

**გია ახალაძე**

**მილანის ჭერქვეშა პირველობა**
**ხალიჩა. საპრიზო 380 ათასი ევრო**

**მეოთხედფინალი**

**ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:4; იარკო ნიემინენი (ფინეთი) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:6 (9:7), 7:5; მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:5, 6:3; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — ჟულიენ ბარლე (საფრანგეთი) 6:4, 6:1**

**ნახევარფინალი**

**კაფელნიკოვი — ნიემინენი 7:6 (10:8), 6:3; ვერკერკი — ლიუბიჩიჩი 3:6, 7:5, 7:6 (7:1)**

**ფინალი**

**ვერკერკი — კაფელნიკოვი 6:4, 5:7, 7:5**

# ვერ კი არა კი — ვერკერკი!
# ჩრდილიდან გამოსული მეეისე


ლინდსი დევენპორტი


მარტინ ვერკერკი

REUTERS ფოტოები

სა-ATP-ო ტურნირებზე 24 წლის ჰოლანდიელი მარტინ ვერკერკი მხოლოდ უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში გამოჩნდა. მანამდე ის ერთი უსახელო, ჩრდილში მოსარჯვე კაცი გახლდათ, თუმცა ჰალალად თუ ვიტყვით, გამოსამზეურებელი რამ არც ამ რვა თვეში გაუკეთებია. ერთი ეგ იყო, აგვისტოში, ინდიანაპოლისურ მეოთხედფინალს უწია. მოკლედ — სანამ მილანში ჩავიდოდა, ვერკერს სულ 26 სა-ATP-ო მატჩი გაემართა და აქედანაც მხოლოდ 9-ში ემარჯვა.

გასული კვირის შემდეგ მას უკვე 14 გამარჯვება და — რაც მთავარია — კარიერის პირველი ტიტული დაუკვეხება.

ეს ტიტული ვერკერკმა დამსახურებულად ირგუნა. მალალსა და ჯანიანს მძლავრი მოწოდება ჰქონია და ხუთი მატჩის შედეგად (ამათგან სამში მან სამ-სამსეტიან დავლურებსაც გაუძლო) ჯამში 109 ეისი მოაქუჩა.

მისი მოწოდება ყველაზე მეტად კარიერის 46-ე ფინალში გასულ ევგენი კაფელნიკოვს ემწარა. 28 წლის რუსი, ვისაც ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრიდან გავარდნის შემდეგ სანუგეშოდ კარიერის 27-ე ტიტულის მოგება ეიმედებოდა, ვერკერმა 30-ჯერ გახიშტა. სხვათა შორის, 26 ტიტულიდან ერთი კაფელნიკოვს მილანშიც ეშოვა — ეს ამბავი 1995-ში მოხდა.

კაფელნიკოვი: „მან უკეთ ითამაშა და თავის გლაჯუნა მოწოდებით მაგრად გამწნეხა. ვერაფერს იტყვი — ძალიან ნიჭიერია. ჩემი თამაშით კი მაინც კმაყოფილი ვარ — ნელ-ნელა ეგებ ჩვეული ფორმაც დავიბრუნო".

შეგახსენებთ, რომ ნოემბერ-დეკემბრის მიჯნაზე ფრანგებთან მოგებული დევისფინალის მეორე დღესვე კაფელნიკოვმა ფეხის ისე-რა ოპერაცია გადაიტანა და ფინალამდე ჩოგნაობა მისთვის ამიტომაც დასტურ რიგიან შედეგად უნდა შეფასდეს.

ვერკერკი: „ამ ღღისთვის ორი უკანასკნელი წელი ვემზადებოდი. მაგრად, ძალიან მაგრად ვიმუშავე და ვფიქრობ, ბარაქიანადაც მოვუმატე. ადრე უფრო სიამოვნებისთვის ვთამაშობდი, ახლა კი შედეგისთვის ვიბრძვი. ხოლო რაკილა უშრომლად და უმსხვერპლოდ არაფერი მოდის, ვირივით ვმუშაობ... ახლა უკვე მჯერა, რომ წინ იმედისმომცემი მომავალი მაქვს".

საამმომავლოდ მარტინ ვერკერკს არც ის 52 ათასი დოლარი ავნებს, რაიც მან მილანური გარჯით მოიმკა.

**PAN PACIFIC OPEN**
**ტოკიო. ხალიჩა**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**ნახევარფინალი**

**მონიკა სელეში (1, აშშ) — ჩანდა რუბინი (4, აშშ) 4:6, 6:4, 6:2; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 3:6, 6:1, 6:4**

**ფინალი**

**დევენპორტი — სელეში 6:7 (6:8), 6:1, 6:2**

რაგინდარა ტიტული 26 წლის ლინდსი დევენპორტს 2001 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ მოეგო. შარშანდელი სეზონის პირველი ნახევარი მას მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო წაემურდლა, კორტს მობრუნებულმა კი თუმც ოთხ ფინალს უწია, 37-ტიტულოვან საკარიერო ზარდახშას მორიგი ჯილდო, ვერ იქნა და ვერ შემატა.

ნავსის გატეხვა მას თურმე ტოკიოში ეწერა, ტურნირზე, სადაც 1998 და 2001 წლებშიც ეპირველა და ფინალში, სადაც მის მიერ ცამეტ აქამომდელ შეხლაში ცხრაჯერ ძლეულ მეტოქესთან უნდა ეპაექრა.

ეს მეტოქე მონიკა სელეში — ცხრაგზის მესლემტიტულე და ტოკიოში ერთხელაც ვერ ნახეირები ქალი გახლდათ.

ჯამში თორმეტი სლემტიტულის მომხვეჭელ მეჩოგნეთა ფინალური შეხლა დიდი შეღავათი გამოდგა ტურნირის ორგანიზატორთათვის, რომელთაც ვაგლახად მოისაკლისეს იქ არ ჩასული მარტინა ჰინგისის, ჯენიფერ კაპრიატისა და ანა კურნიკოვას კორტებზე ხალხის მიმზიდავი ბარაქა...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, სამი წლით უმცროსი თვისტომის ძლევა სელეშს არც ამ ჯერზე გამოუვიდა. ლინდსიმ 38-ე საკარიერო ტიტულთან ერთად 189 ათასი დოლარიც ჩაიუბა და ცხოვრებაში მოგებული ფულის რაოდენობა 15 მილიონს გადააცილა.

მასზე მეტ ტიტულს ამჟამად მოქმედ ქალმეჩოგნეთაგან მხოლოდ ორნი — ეგევე სელეში (53) და მარტინა ჰინგისი (40) მიითვლიან.

დევენპორტი: „პირველ სეტში ლამარცხეობამ გამახელა. მომდევნო ორში კი ისე ვითამაშე, კაი ხანი რომ აღარ მითამაშია. თუკი ამ დონეზე განვაგრძე, ეგებ კიდევ რაღაც-რაღაცები მოვიგო. იმედია, უიმბლდონის მერე ზეხუთეულს დავუბრუნდები".

სელეში: „ლინდსიმ საქმეს მეორე სეტიდან მიხედა. ამის მერე ის უკეთ აწვდიდა, ხოლო მე პირიქით, მიზანი წამიხდა. ასეთ სწრაფ საფარზე კი მოწოდებას ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა... თუმცა ამ მარცხს ისე მაინც არ განვიცდი — თუკი ჯანი არ მიმტყუნებს, მომავალ ტურნირზე უკეთესად გამოვალ".

**ლევან კელაურაძე**

ჰოკეი

# ამ ბიჭმა მკვდარი გააცოცხლა


2 თებერვალი. ფლორიდა. „ოფის დეპო სენთერი"

**დასავლეთი 6:5 აღმოსავლეთი**

**3:2 1:2 1:1 0:0**

ბულიტებში 1:0

**0:1 ჰიტლი (6), 1:1 ფორსბერგი (8), 2:1 მორდანი (9), 2:2 ჰიტლი (11), 3:2 გაბორიკი (16), 3:3 ჰიტლი (23), 4:3 ტოვანოვსკი (33), 4:4 ჰიტლი (34), 5:4 მაკინისი (42), 5:5 იოკინენი (60)**

**გადამწყვეტი ბულიტი: პოლ კარია**

მთელი ამერიკა დანი ჰიტლის უნდა უმადლოდეს, ამ ბოლო დროს ფარსად ქცეული „ოლ სტარი" რომ გაცოცხლდა.

ა, ეს შეძლო კოლორადოს 21 წლის ფორვარდმა.

Show must go on! — შოუ უნდა გაგრძელდეს! ეს სიტყვები „ოლ სტარამდე" ერთი დღით ადრე მაინცდამაინც ოპტიმისტურად ვერ ჟღერდა, ის კი არა, ირონიადაც კი აღიქმებოდა. ბოლო წლების ულიმღამო „ოლ სტარების" შემდეგ ხომ მის გაუქმებაზეც კი ალაპარაკდნენ. ნჰლ-ის ბოსებმა წლეულს ბევრი რამ გააკეთეს ამ „ოლ სტარის" გასახალისებლად, მაგრამ მისგან განსაკუთრებულს მაინც არავინ ელოდა. დასავლეთის და აღმოსავლეთის დაპირისპირების სქემა კი აღდგა, მაგრამ ვარსკვლავები კვლავ გულგრილად მოეკიდნენ მას. ზოგმა რა მოიმიზეზა, ზოგმა რა.

არც შოუს პირველი დღის, შაბათის პროგრამა გამოდგა რაიმეთი დასამახსოვრებელი. ახალბედათა თამაში შარშან უფრო თვალსასეირო იყო — 13:7 აღმოსავლეთის სასარგებლოდ. წლევანდელი შედეგი — 8:3 მასთან რას მივა...

ეგრეთ წოდებულ „სუპერსკილს კომპეთიშნი", ვარსკვლავების კონკურსი ჰოკეის სხვადასხვა კომპონენტში, ასევე ჩამოუვარდებოდა შარშანდელს. მე-7 უძლიერესი დარტყმის მქონე სენტლუისელმა ელ მაკინისმა 100-მილიან ზღვარსაც ვერ გადააჭარბა. ასე რომ, მთავარის მატჩისგან, რომელიც კვირას გაიმართა, განსაკუთრებულს არავინ ელოდა. არენა ძლივს შეივსო, თამაშიც ულიმღამოდ დაიწყო და რომ არა ჰიტლი, ალბათ ასეც დასრულდებოდა. ლიგაში მეორე სეზონს მოასპარეზე ბიჭმა მოედნის შუაგულში უჩვეულო სერიოზულობით იბრძოლა შაიბისთვის, მერე ოსტატურად დააწვინა მცველი და პატრიკ რუას ფეხებშუა გაუტარა. ბევრს ეს ეპიზოდად მოეჩვენა, მაგრამ დანი არ ხუმრობდა, მან კიდევ სამჯერ გაიტანა.

აქვე გეტყვით, რომ ოთხი გოლი „ოლ სტარის" ისტორიაში აქამდე მხოლოდ ოთხ „დიადს" გაუტანია — უეინ გრეცკის, მარიო ლემიეს, მარკ გარტნერსა და ვენსან დამფუსს. ცხადია, ამის შემდეგ თამაშის უძვირფასესის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა.

ძირითადი დრო და ოვერტაიმი ფრედ დასრულდა, ბულიტებში კი მაინც დასავლეთმა იმარჯვა. მარკუს ნესლუნდის, პოლ კარიასა და ბილ გერინის გოლებს აღმოსავლეთმა მხოლოდ ერთით უპასუხა და ისიც ჰიტლიმ გაიტანა.

**სამველ ღარიბიანი**

მთის თხილამურობა

## მსოფლიოს ჩემპიონატი სენტ მორიცი (ავსტრია)

*ამ უქმეებზე ავსტრიულ ალპებში შეფენილ და თოვლით გადაპენტილ დაბა სენტ მორიცის მახლობელ მთა-გორაკებზე პლანეტის უყოჩაღეს მთიელთა თხილამურქვეშ თოვლი აჭრაჭუნდა. დაიწყო სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი*


ორი მფრინავი ავსტრიელი — ჰერმან მაიერი და შტეფან ებერჰარტერი


მიქაელა დორფმაისტერი

REUTERS ფოტოები

# მაიერმა სასწაული გადადო

ახლა მთელი ავსტრია სენტ მორიცშია და ეს თხილამურობაზე შეშლილი ხალხი ფრიადაც კმაყოფილია პირველი დაშვებებით, რაკი სუპერგიგანტის დისციპლინაში ქალებშიც და ვაჟებშიც მათმა თანამემამულეებმა ირგუნეს ოქროს მედლები, ქალებში მიქაელა დორფმაისტერმა, ხოლო ვაჟებში შტეფან ებერჰარტერმა.

განსაკუთრებული ინტრიგა ახლდა კაცთა პაექრობას. აქ ერთმანეთს ოქროს ეცილებოდა ორი ავსტრიელი ებერჰარტერი და ჰერმან მაიერი. წავიდა ის დრო, როცა მაიერი ოქროსმაძიებელთა შორის ლამის უკონკურენტო ფავორიტად ეწერებოდა. ამ წლინახევრის წინ ის ავარიაში მოჰყვა და ლამის საბოლოოდ გამოეთხოვა მთებს. „ტერმინატორად" წოდებული ეს ფენომენი ამ სამი კვირის წინ დაუბრუნდა თხილამურებს და სასწაულიც მოახდინა, მხოლოდ ორი კვირის ნავარჯიშევმა ავსტრიულსავე კაცბიუელში სუპერგიგანტი მოიგო...

„ტერმინატორი" სენტ მორიცშიც ფეთიანივით მოჰქროდა და 2,4 კილომეტრიანი გზა 1 წუთსა და 39,57 წამში ჩამოიქროლა. მის შემდეგ დაცურებულმა შტეფან ებერჰარტერმა ამ დროს 0,77 წამი ჩამოაჭრა და ოქროც მას დარჩა.

„ჩემს ხანგრძლივ კარიერაში ბევრი აღმასვლა მქონია და იმედგაცრუებაც არაერთხელ მრგებია. ეს წელი ჩემთვის საუკეთესოა და მე ბედნიერი ვარ, რომ აქ, მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერგიგანტი მოვიგე" — ამბობდა ებერჰარტერი ჩემპიონად ოფიციალურად შერაცხვის შემდეგ.

როგორც მოგახსენეთ, ქალებშიც ავსტრიელს შეხვდა ოქრო. ჩემპიონი მიქაელა დორფმაისტერი თავად გააოცა ამ ამბავმა. ფინიშის უკვე ჩემპიონად გადაკვეთის შემდეგ 29 წლის სპორტსმენმა აღელვებულმა აკოცა თოვლს.

მხოლოდ მე-19 ადგილი შეხვდა მდედრ მოთხილამურეთა შორის უყოჩაღესს, ხორვატ იანიცა კოსტელიჩს. 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოთხი ოლიმპიადის სამგზისოქროსმედალოსანი არც მალავდა, რომ იმედგაცრუებული იყო.

**სუპერგიგანტის პრიზიორები**

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1 შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) | 01:38.80 | 1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 01:27.48 |
| 2 ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 01:39.57 | 2 კირსტენ კლერკი (აშშ) | 01:27.50 |
| 3 ბოდე მილერი (აშშ) | 01:39.57 | 3 იონა მენდესი (აშშ) | 01:27.63 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის 30-ე საერთაშორისო ტურნირი 1-2 თებერვალი

*თბილისის ტრადიციული ტურნირის დაწყებამდე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა თქვა, ჩვენები ბლომად მედლებს მოიპოვებენო და... 28 ქართველი ძიუდოისტიდან 15 ავიდა პოდიუმზე და 2004 წლის ათენის ოლიმპიადისთვის სალიცენზიო ქულებიც ჩაიწერეს. მთლიანობაში ჩვენებმა 5 ოქროს, 4 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალი მოინაგრეს*



დავით ბოდაველს (თეთრ კიმონოში) წამიღა აშორებს ტურნირის ჩემპიონობამდე

# ტურნირი იყო პურმარილივით
## მედლები ჩადგმით, ბოთლები სროლით

მასპინძლებმა ტატამსგარეთაც გამოიჩინეს თავი. ბოლო წლებისგან განსხვავებით, ტურნირი სერიოზულად იყო ორგანიზებული. ტატამთაგან შორს მჯდომებს დარბაზში დამონტაჟებულ კომპიუტერულ ეკრანზე შეეძლოთ. დეტალურად ენახათ ბრძოლა, ჟურნალისტებს კი ინფორმაცია



შოთა ხაბარელი

არ გვიგვიანდებოდა. უფასო შესვლამაც თავისი ქნა: ორი დღის განმავლობაში სპორტის სასახლე სავსე იყო. თანაც, დარბაზში უჩვეულოდ იბილოდა. ეგ არის, რომ სპორტის სასახლის მხოლოდ ერთი კარი იყო ღია და შესვენებებისას აუარება ხალხი ერთმანეთზე გადადიოდა.

პირველ დღეს 60, 66 და 73 კილოგრამიანებში გაიმართა ბრძოლა, რომელიც ჩვენებისთვის უხვმედლიანი გამოდგა. დღის გმირი დავით ბოდაველი (73 კგ) გახდა. არადა, ამ წონაში ყველას ევროპის ვიცე-ჩემპიონ დავით ქევხიშვილისა ეიმედებოდა, მაგრამ მან მოულოდნელად საწყისი ორი ბრძოლა წააგო და ადრეულ ეტაპზევე დაემშვიდობა შეჯიბრს. ამასობაში ბოდაველი მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებდა და ნახევარფინალსაც უწია. იქ მას ბერძენი ილია ილიადისი დახვდა, რომელიც სხვა არავინაა, თუ არა საქართველოს ნაკრების წევრ ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილი — ჯარჯი ზვიადაური. ჯარჯი საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა ნიკოლოზ ილიადისმა იშვილა და გვარიც მისცა. თავის მხრივ მამობილიც საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია და ამ სამი წლის წინ მიაშურა ისტორიულ სამშობლოს.

ბოდაველის და ილიადისის ბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა. მისი ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა: დავითმა კისრულით დაანარცხა მეტოქე და ფინალში გავიდა, სადაც იაპონელ იოში იშიკავას ეფექტური გდებით წუთნახევარში მოუმთავრა საქმე.

დანარჩენ ორ — 60 და 66 კილოგრამიანებში „ქართული ფინალები" შედგა. 60-კილოგრამიანებში მესტიელმა ნესტორ ხერგიანმა იოტის ოდენა შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს. მოუსვენარი ხერგიანი ხან მოგვერდით, ხანაც მტკივნეული ილეთით უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს. ფინალში მისი მსხვერპლი ლაშა სარდანაშვილი შეიქნა, რომელიც უდავოდ პერსპექტიული ძიუდოისტია.

თქმა არ უნდა, შოთა ხაბარელს ბევრი ფიქრი მოუწევს, თუ ვის ენდოს 66 კილოგრამიანებში. აქამდე ამ წონაში ორხელისუფლებიანობა იყო — გიორგი რევაზიშვილი და დავით მარგოშვილი, ახლა კი ამათ დავაში ახალგაზრდა მინდია ხომიზური ჩაერია. ხომიზურმა თავად რევაზიშვილი შეიწირა ნახევარფინალში და ფინალში დავით მარგოშვილსაც იგივეს უპირებდა, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი ქნა და დასანანად დამარცხდა.

ინციდენტით დაიწყო ტურნირის მეორე დღე. 81-კილოგრამიანებში კენჭისყრამ ერთმანეთს ჩვენი გიორგი შინჯიკაშვილი და ასევე ქართველი, ოღონდ თურქეთის სახელით მოჭიდავე ირაკლი უზნაძე შეახვედრა. თავიდან შინჯიკაშვილი ქულებით ლიდერობდა, მაგრამ მერე ინერტულობა დაეტყო, რაც მსაჯებმა პასიურობაში ჩაუთვალეს და ბრძოლიდან მოხსნეს. უზნაძე ხელის ჩამოსართმევად მივიდა დამარცხებულთან, შინჯიკაშვილმა კი ხელი აუკრა. უზნაძე ამას არ ელოდა და გახელებულ შინჯიკაშვილს სილა გააწნა. შინჯიკაშვილი ხურდას დაუბრუნებდა, შუაში მწვრთნელები რომ არ ჩამდგარიყვნენ. ტრიბუნებიდან „კოკა-კოლას" პლასტმასის ბოთლიც ისროლეს, რამდენიმე გულშემატკივარი კი ტატამზე გასვლასაც ლამობდა. მსაჯებმა ორივე ძიუდოისტი მოხსნეს შეჯიბრიდან.

ტრიბუნებიდან ნასროლი ბოთლი ერთხელაც დაეცა ტატამზე. ამჯერად, მიზანში მსაჯი ამოიღეს, რომელმაც ნახევარფინალში ზურაბ ზვიადაურის (90კგ) ეფექტური ილეთი დატოვა უყურადღებოდ. არადა, ბრძოლის დასრულებას 20 წამიღა აკლდა და ქულებით წინ იაპონელი მასატოში ტობისუკა იყო. დაძაბულობამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა ზვიადაურმა ბეჭებზე მეორედაც დაანარცხა იაპონელი, მაგრამ მსაჯი ისევ არ აპირებდა ილეთის შეფასებას. აქ კი ატყდა სტვენა და გინება. მსაჯმა დამხმარეებს მიმართა და რამდენიმეწუთიანი კონსულტაციის შემდეგ ჩვენებურს სუფთა გამარჯვება ჩაუთვალა.

ფინალში ზვიადაურმა უკრაინელ დიმიტრი მარკოვს დაახვია თავბრუ და ეფექტური კისრულით ოქროს მედალი მოიპოვა.

ახალი სახელი გამოჩნდა მძიმე წონაში. ნაკრების დებიუტანტმა ზვიად ხანჯალიაშვილმა ბოლო წამზე წაართვა ოქრო ლაშა გუჯეჯიანს. ამ 20 წლის გოლიათმა (205 სანტიმეტრი და 140 კილოგრამი) მანამდე ყველა ბრძოლა წამებში მოიგო (ძირითადად შებოჭვით), მაგრამ ფინალში ძალიან გაუჭირდა. გაუჭირდებოდა აბა, რა იქნებოდა, როცა მეტოქედ ჩაფსკვნილი და კერკეტი გუჯეჯიანი ჰყავდა, რომელმაც ნახევარფინალში ამ წონაში ჩვენი ნაკრების ლიდერი ალექსი დავითაშვილი დაამარცხა.

**ბაჩო სვანიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



ნესტორ ხერგიანი



დავით მარგოშვილი



დავით ბოდაველი



რუიჩი მურატა



ზურაბ ზვიადაური



არიელ ზეევი



ზვიად ხანჯალიაშვილი

## ტურნირის პოდიუმი

II I III

**60კგ**

1 ნესტორ ხერგიანი (საქართველო), 2 ლაშა სარდანაშვილი (საქართველო), 3 ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო), არმენ ნაზარიანი (სომხეთი)

**66კგ**

1 დავით მარგოშვილი (საქართველო), 2 მინდია ხომიზური (საქართველო), 3 გიორგი რევაზიშვილი (საქართველო), ეჰუდ ვაკსი (ისრაელი)

**73კგ**

1 დავით ბოდაველი (საქართველო), 2 იოში იშიკავა (იაპონია), 3 ლევან სულხანიშვილი (საქართველო), ალან შმიტი (საფრანგეთი)

**81კგ**

1 რუიჩი მურატა (იაპონია), 2 ილია ჩიმჩიური (უკრაინა), 3 გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო), ემილ ჰასანოვი (აზერბაიჯანი)

**90კგ**

1 ზურაბ ზვიადაური (საქართველო), 2 დიმიტრი მარკოვი (უკრაინა), 3 კახაბერ მურაჩაშვილი (საქართველო), მასატოში ტობიცუკა (იაპონია)

**100კგ**

1 არიელ ზეევი (ისრაელი), 2 დმიტრი ტურაშვილი (საქართველო), 3 გიორგი გუგავა (საქართველო), ვიტალი ბუბონი (უკრაინა)

**მძიმე**

1 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო), 2 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო), 3 დმიტრი სელეზნი (უკრაინა), კაცუხირო მურამუტო (იაპონია)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა ჩალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ყამაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ხვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge